# სახალხო განათლება+

„ქვეყანად არცერთი ბრძენი არ იყო, მასწავლებელი არა ჰყოლოდა“.
იოსებ ნონეშვილი

● № 12 (4551) ● 7 ივნისი ● 2017 წელი ● ● ● ● ● გაზეთი გამოდის ოთხშაბათობით ● ფასი 1 ლარი ●

## გილოცავთ სასწავლო წლის დამთავრებას!

### ბოლო აკორდები კერძო სკოლა „ივერონში“

## ღია გაკვეთილის ხიბლი და... მუდამ გვიყვარდეს პირველი მასწავლებელი



**დასასრულს** მიუახლოვდა სასწავლო წელი, უფრო სწორად, დამთავრდა მიმდინარე სამეცადინო პროცესი. მეთორმეტეკლასელები დამოუკიდებელი ცხოვრების ფართო ასპარეზზე გამოვიდნენ. მივულოცოთ მათ სკოლის დამთავრება, წარმატებები ვუსურვოთ!

სასწავლო წლის თვალსაჩინო მიღწევებით დამთავრებას ვულოცავთ დიდი დიღმის ერთ-ერთი მოწინავე კერძო სკოლა **„ივერონის“** გენერალურ დირექტორს **ციცო ჯაფარიძეს**, დირექტორს **მარი დარჩაშვილის**, მოადგილეს **მარინე ბექურიძეს**, ყველა მასწავლებელს.



კიდევ რამდენიმე დღე და **„გაუფრინდება ქეთოს მერცხლები“**, ე. ი. **მეოთხეკლასელები** დაემშვიდობებიან თავიანთ პირველ მასწავლებლებს, რომლებიც სიამაყესთან ერთად სინანულითაც იტყვიან გალაკტიონივით: **„..და თვალზე მადგა განშორების მსუბუქი ცრემლი...“**

„ივერონის“ მეოთხეკლასელთა ერთ-ერთ ბოლო დაუვიწყარ ღონისძიებაზე ქვემოთ მოგითხრობთ:

***

**„ვისი გორისანი ვართ?“** - გვესმის კითხვით-ძახილიანი სიტყვები და პასუხად ჩაგვესმის: რაფიელ ერისთავის შეგონება: **„როგორც უფალი, სამშობლო, ერთია ქვეყანაზედა“.**

და, მაინც რა არის სამშობლო?.. საიდან იწყება? რა აღძრავს თუ აღვიძებს ახალგაზრდებში ქვეყნის სიყვარულს?

„დრომ მოიტანა აუცილებლობით ნაკარნახევი ეროვნული მუხტის გაძლიერება აღსაზრდელებში, რამეთუ „აღვერიენით ერსა უცხოთა“ და გვიჭირს „მამულისა ჩვეულებისამებრ სვლაი“...



და, რომ „არსად ისე არ მღერიან, როგორც აქ, ამ ქვეყანაში“ და ეს ქვეყანა კი გახლავთ „დიდი სამოთხის კუთხე პატარა“ – **საქართველოსი...**

და, ასე დაიწყო სკოლა „ივერონის“ პედაგოგ **მაია გოგრიჭიანის** ღია გაკვეთილი **„ბუნებაში“** თავისივე სადამრიგებლო IV კლასთან.

„წარსულისადმი ნდობა-პატივი, თუ შენში მაინც ოდნავ ელვარებს“, წინაპართა ნაკვალევს უნდა მივაგოთ პატივი უპირველესად. ლაშქრობა-ექსკურსიებით კი ამის შესაძლებლობა ძალზე დიდია.

„ადგილის დედობის“ მადლით ძველი თბილისის ღირსშესანიშნაობების „გალერეაში“ აღმოვჩნდით. მაია მასწავლებელმა ბავშვებს სრულიად საქართველოს კათოლიკოს-პატრიარქის, ილია II-ის, ქადაგებიდან შეახსენა: **„მადლობა უფალს, ჩვენს ღვთითკურთხეულ მიწა-წყალზე წინაპართა ნაკვალევი სანთლით საძებარი არა გვაქვს. მიწიერი საქართველოს მთა და ბარიდან 15 ათასზე მეტი ისტორიული ძეგლი შეჰღაღადებს ზეციურ საქართველოს“.**

მოსწავლეებმა მოილოცეს ანჩისხატი, VI საუკუნეში აგებული კათედრალური ტაძარი სიონი, გაეცვნენ აქ არსებულ სიწმინდეთაგან მოციქულის თავის ქალას, წმინდა გიორგის მუხლის ძვალს, ქართული ქრისტიანული ეკლესიის უდიდეს სიწმინდეებს – წმ. ნინოს ვაზის ჯვარს, დავით გარეჯელის მიერ იერუსალიმიდან ჩამოტანილ მადლის ქვას, ღვთისმშობლის ხატს, რომელიც მოწმეა 100 ათასი ქართველი წამებულის (მეტეხის ხიდზე, 1225 წელს ხორეზმის შაჰის ჯალალედინის შემოსევის დროს).

ექსკურსანტებმა გადაინაცვლეს აბანოთუბანში. მასწავლებელმა ბავშვებს მოუთხრო გოგირდის აბანოების და თბილისის დაარსების ისტორიის შესახებ.

მოსწავლეებმა ლეღვთახევის გავლით ორიენტაცია ბოტანიკური ბაღისკენ აიღეს.

გარინდებული ბუნების მყუდროებას ჩანჩქერის „ალმასებრ“ მჩქეფარე ხმაური არღვევდა. მოსწავლეები ვაჟასეული პოეტური შთაგონებით ბუნების წიაღში გაიშალნენ.

„ჩვენ ბუნებაში ვართ, იგი – ჩვენშია“ – გაკვეთილის თემაც გამოიკვანძა... პედაგოგი კითხულობს მოსწავლეთა სიას... ჯგუფ-ჯგუფად გროვდებიან.

**ედვარდ აბურჯანია, მაქსი ბოლქვაძე** და **სანდრა გიკაშვილი** წიწვოვან მცენარეებზე საუბრობენ.

**მარიამ გოგნაძე, ანდრია ვიბლიანი და ელენე თოლორდავა** წიწვოვან მცენარეთა სასიცოცხლო ციკლზე ბჭობდნენ.

**მარიამ კვირიკაშვილი, საბა კუპრეიშვილი** და **ნიკოლოზ კუტალაძე** გირჩებს აგროვებდნენ, თესლთა ვარგისიანობაზე და წიწვოვანი მცენარეების აღმოცენებით ინტერესდებოდნენ.



**ნიკოლოზ სანებლიძე, სოფია ფომენკო, თინა წერეთელი** ყვავილოვან მცენარეებზე, მათი ნაყოფის საკვებად გამოყენების შესახებ მსჯელობდნენ.

**ლუკა ხუციშვილი,დავით ჯგერენაია, დაჩი გობეჯიშვილი, ელენე დუგლაძე** დამატებითი ინფორმაციებით ავსებდნენ ჯგუფებისაგან წარმოდგენილ მასალებს.

გაკვეთილის თემა **„წიწვოვანი** და **ყვავილოვანი მცენარეების სასიცოცხლო ციკლი“** შეაჯამა პედაგოგმა **მაია გოგრიჭიანმა**.

ბავშვები ბაღის გასართობ ზონასაც ეწვივნენ. ბაღის კოლორიტს თამარის თაღოვანი ხიდიც ამშვენებს (ჩანჩქერის თავზეა გადებული).



მოსწავლეთათვის ყურადსაღები იყო ისიც, რომ 98 ჰექტარზე გაშენებული **ბოტანიკური ბაღი** ერთ-ერთი უძველესია მსოფლიოში (300 წლისაა).

ბაღში სხვადასხვა სამედიცინო დანიშნულების მცენარე ხარობს. სიმბოლურად ბაღი სააფთიაქო დანიშნულებისაა, როგორც გვაცნობეს მებაღეებმა.

კვარცხლბეკიდან **გადმოჰყურებს „ქართვლის დედის“** მონუმენტი; ქანდაკება, რომელიც თბილისის ერთ-ერთი სიმბოლო გახლავთ. ქანდაკება **ელგუჯა ამაშუკელს** თბილისის 1500 წლისთავთან დაკავშირებით აღუმართავს სოლოლაკის გორაზე.

ქართულ ეროვნულ სამოსში ჩაცმული **„ქართვლის დედა“** ქართული ეროვნული ხასიათის სიმბოლო გადმოჰყურებს დედაქალაქს ცალ ხელში ღვინის თასით – როგორც მასპინძელი სტუმართათვის და მეორე ხელში ხმლით – მტერთათვის შესახვედრად.

შთაბეჭდილებებით აღსავსე მოსწავლეები, მოსწავლეთა მშობლები, უსაზღვროდ კმაყოფილნი, მადლიერებითა და პატივისცემით ეთხოვებიან გულისხმიერსა და ენერგიულ პედაგოგს, **მაია გოგრიჭიანს**. ღონისძიებაში მონაწილეობას ღებულობდა სკოლის ორგანიზატორი **ლალი ლამბრიანიძე**.

ამ დღის მესვეურთ, ალბათ, დიდხანს გაჰყვებათ ერთი ლამაზი დღის მადლი, მადლი ბუნების წიაღში წარუშლელად „აღმოცენებული“, ბარათაშვილისეული სტრიქონებით გაბრწყინებული... **„რაც ერთხელ ცხოვლად სულს დააჩნდების, საშვილიშვილოდ გარდაეცემის“**...

და, მართლაც, ამ დღეს მთაც ლამაზი იყო, ბარი უკეთესი, „ცა კი ფიროსმანის მოხატულს ედარებოდა“...

გაგრძელება მე-2 გვ.

მასწავლებლებო, ითანამშრომლეთ ჩვენთან!

სახალხო განათლება +
7 ივნისი, 2017

## პირველი გვერდიდან

**...და თუ** ყოველი ქართველი პოეტია, „ივერონელი“ მეცხრეკლასელები პოეზიის სიყვარულის ნიჭით გამორჩეულნი არიან.

**რუსთაველის** ქვეყანაში ზეობდა და ზეობს პოეტური შთაგონება. ეს დღეც **რუსთაველის** ეპოქის ისტორიის ერთი ლამაზი ფურცელია, რვა საუკუნე-ნახევარი გასულა.

დილა იყო. ახლად ამოწვერილი მზე ოქროს სხივებს აფრქვევდა წყნარად და მშვიდად კერძო სკოლა **„ივერონს“.**

სტუმრად **თინა მასწავლებლის გალერეა-სალონ ბიბლიოთეკაში** იწყება გასვლითი გაკვეთილი აკაკი თუ ტიციანი, ლადო და მირზა...

და... ვის შეუძლია შელახოს ენა ქართული?!

და, მაინც უძლურია ქართულ სიტყვათა საგანძური ყველა სათქმელი ამ „სამეფოდან“ აირეკლოს ფურცელზე...



სხვა რომ არ იყოს, „რუსთველი“ გვეყოფა ქართული სიტყვის მიუწვდომელ სათავედ.

იშლება დიდი მატიანის **ეტრატი** მოკრძალებული, აუღელვებელი მელოდიით ჟღერს უკვდავებაში გადასული ენა ქართული, პოეზიის ენით ამეტყველებული **„წიგნო, უფალო, გულის კარები, გახსენ ბოლომდე, რომ გემსახურო!“**

ოოო... რა მომაჯადოებელია ქართულ ლიტერატურაში.



რა ბედნიერი წუთებია!!! სრული სიჩუმე სუფევდა **„კარცერლუქსში“**, უბადლო ხელოვნების **„ტაძარში“**...

მხოლოდ რჩეულნი ბინადრობენ აქ... სულმნათი შოთა, ილია, გენიოსი ვაჟა და გალაკტიონი, და უკიდეგანო ქართული სიტყვის მადლი და ძალა!!!

ძალა სიტყვისა მიწის ფესვიდან რომ მოედინება...

და ჩვენი მართლმადიდებლური მიწაც ხომ ქრისტეს ტერფია, ქართული სიტყვა კი – მსხმოიარე ნაყოფი.



## რუსთაველის დღეები „ივერონში“

# აქ სამეფოა წრფელი წამების

მაგიდებთან წყვილად „ანგელოზები“ სხედან, „ივერონელი“ მეცხრეკლასელები: **მადონა კაკაურიძე** და **გოჩა თავაძე**, **სალომე სხილაძე** და **საბა გოგოლაშვილი**, **ანი კაკაურიძე** და **გიორგი ზენაიშვილი**, **ანა გოგუაძე**, **გიორგი ჭიქაძე** და **დავით ქავთარაძე.**



იღება პოეზიის კარები. იკვეთება გაკვეთილის თემაც: **„რომ ლექსი შველის ყოველგვარ ტკივილს და თვითონ ლექსი ტკივილი არის“.**

სტრიქონებს სტრიქონები ცვლის წარმოსახვითა და ოცნებებით შთაგონებული. რჩება შთაბეჭდილება, თითქოს ყოველი სტრიქონი აქ, ამ გალერეა-სალონში იძერწება.

**„შორით ბნედა, შორით კვდომა, შორით დაგვა, შორით ალვა“...**

„რაც უფრო შორს ხარ, მით უფრო ვტკბები, მე შენში მიყვარს ოცნება ჩემი“ – ოცნება შოთასეული იდეალებით, ოცნება რეალობაზე აღმოცენებული, ოცნება მრავალმნიშვნელოვანი.

წარუშლელი სტრიქონები: „მოდიოდა ნინო მთებით, და მოჰქონდა სანატრელი ვაზის ჯვარი... მაგრამ რწმენა ავალებდა რაოდენს...

...რომ ლამაზია მზე გაზაფხულის, რომ მთაწმინდაზე მზე დაწვა თითქოს“...

და ბედნიერი წუთებია, როცა რწმენითა და გაზაფხულის მზით გაჯერებული მოკრძალებული, აუღელვებელი მელოდიით ჟღერს ქართული პოეტური სტრიქონები.

მართლაც ბედნიერი წუთები გვაქვს ჩვენ, ბავშვებს, თინა მასწავლებელს...

ო, რა სათნოა მისი ღვთაებრივი სამუშაო ოთახი!!!

„მოკვდავთა ენას არ ძალუძს უკვდავთა გრძნობათ გამოთქმა!“ – შთაბეჭდილებათა ფონზე გვესმის სკოლის დირექტორ **მარინე დარჩაშვილის** სიტყვები.

და, მართლაც, ბედნიერი ხართ ქალბატონო თინა მასწავლებელო, რადგან უფალმა ღირსად გიბოძათ „ნიჭი“ ქართულ ენასა და ლიტერატურასთან „მონობისა!“ (კლასის ხელმძღვანელი **მარინე ბექურიძე**).

დღეს ჩვენ ვეზიარეთ ამაღლებულ პოეტურ განწყობილებას!.. სული საზღვარს გადასცდა ფრენით... რაღაც დიდი სიხარული ვიგრძენით, ვიგრძენით, რომ „ლექსი ლოცვაა“ და ეს ლოცვა განმარტოებულ „უდაბნოში“ ან პოეზიის საუფლოში იქმნება.

პოეზიას აისის, მზის სითბო სჭირდება... პოეზიას დაისის სინათლეც... მასწავლებელი იხსენებს **რიჩარდ ბახის** სიბრძნეს: **„არის მწვერვალები, რომლებზეც ასვლის შემდეგ შენ აღარ ეშვები ქვევით... გაშლი ფრთებს და მიფრინავ ზევით... ზევით...“** სიტყვების მადლქვეშეთში კი ისმოდა გალაკტიონის „ფრთები, ფრთები, გვინდა გასაფრენად...“

სიამაყეს მგვრის შეგრძნება იმისა, რომ ეს გალერეა-სალონ ბიბლიოთეკა ჩემს მოსწავლეებს რაღაც ახალს შესძენს, რაღაც ახალს გაუღვიძებს...

ეს დღე წარუშლელ კვალს დატოვებს მოსწავლეთა მეხსიერების



ლაბირინთებშიდა პოეტური შთაგონებით აღავსებთ.

ღირს იმად, რომ იცხოვრო რუსთველის ქვეყანაში...

და გუგუნებდა მეცხრეკლასელთა პოეზიის ჩანგი, პოეზიის საუფლოში...

ცხოვრება და სიყვარული – ეს არის უდიდესი ძალა, ძალთა პოეზიის ჰანგებით, განგების სამყაროს რომ განაგებს, ლამაზ ისტორიას წერენ...

და, ასე დაიწერა ერთი ლამაზი დღე **„ივერონელ“** მეცხრეკლასელთა ისტორიისა.

***P. S. ხან წელიწადი გროშად არა ღირს, ზოგჯერ კი წამსაც ოქროს ფასი აქვს. ფინჯან ყავასთან იწრთობოდა სტუმარ-მასპინძლობის ძალა და იყო პოეზიის იდილია, იდილია წიგნის დღესასწაულისა თუ რუსთველური „ვეფხისტყაოსნისა“ საიუბილეო, მზისქვეშეთში გაბრწყინებული. ლარნაკებიდან გაბრწყინებული, ცრემლდაღვენთილი ყვავილები იღიმებოდნენ... შანდლებიდან პოეტური შთაგონებით სანთლების წვა და გ ზნება ილვენთებოდა.***

**გვერდების ავტორი, პედაგოგი და ჟურნალისტი**
**თინათინ ჩხეიძე**





თბილისის 165-ე საჯარო სკოლა გამორჩეულია

# როცა საქმისადმი გულანთებულნი იღვწიან

**განათლება** და ღირსეული პიროვნებების აღზრდაა უმთავრესი პრიორიტეტი თბილისის 165-ე საჯარო სკოლაში. იგი ზაქარია ფალიაშვილის 57 ნომერში მდებარეობს. 165-ე განსხვავებული ხელწერითაა გამორჩეული დედაქალაქში არსებულ სასწავლო დაწესებულებებს შორის.პედაგოგები გატაცებით ზრუნავენ არამარტო განათლებაზე, არამედ მოზარდებში პატრიოტული სულისკვეთების ჩამოყალიბებაზე. ყველანაირი პირობა აქვთ შექმნილი იმისათვის, რომ მოსწავლეებმა თავი კომფორტულად იგრძნონ და კარგი განათლება მიიღონ.



სკოლას ოთხი წელიწადია წარმატებით ხელმძღვანელობს შემოქმედი პედაგოგი **მაია ჯაბაური,** რომლის ინიციატივით და ძალისხმევით არაერთი სასიკეთო საქმე განხორციელდა. ქალბატონი მაია პროფესიით მათემატიკის ჩინებული მასწავლებელია, ოცდაცამეტი წელიწადია განათლების სფეროში მოღვაწეობს და უკვე ოცდარვა წელია, სერთიფიცირებული პედაგოგია.



წარმატებულ დირექტორს მხარში უდგას გამოცდილი მოადგილე **ხათუნა იოსელიანი,** რომელიც რუსული ენისა და ლიტერატურის სპეციალისტია და ზედმიწევნით იცნობს სკოლის ცხოვრებას.

სკოლის საქმიანობას ჩინებულად წარმართავენ კათედრის ხელმძღვანელები, ესენია: ქართული ენა-ლიტერატურის– **ირინე კირვალიძე**, დაწყებითი საფეხურის – **მაია ჭუმბურიძე**, უცხო ენების – **მაყვალა ალიაშვილი**, მათემატიკის – **ირმა ბარბაქაძე**, საზოგადოებრივი კათედრის – **ნინო დალაქიშვილი**, საბუნებისმეტყველოს – **ხათუნა გაგოშიძე**, ესთეტიკის – **სუზი მეტონიძე** და სპორტის – **ლუბა ნანიკაშვილი**.

**მაია ჯაბაური**: ჩვენი სკოლა მაღალკვალიფიციური კადრებითაა დაკომპლექტებული. ვმუშაობთ გუნდური პრინციპით. აქ შექმნილია მეგობრული ატმოსფერო. მუშაობის პროცესში ურთიერთპატივისცემა და გამჭვირვალობა უმნიშვნელოვანესია. შეიძლება ითქვას, რომ ერთგულად და გულანთებულები ვემსახურებით ჩვენს საყვარელ საქმიანობას. მოსწავლეების მიმართ ვართ გულისხმიერები და საკმაოდ კორექტულები. მშობლების აზრი კი, ჩვენთვის უმნიშვნელოვანესია. აკადემიურ მოსწრებასთან ერთად, კარგ პიროვნებებს ვზრდით და ვამაყობთ სკოლის მოსწავლეების წარმატებებით. გვყავს მედალოსნობის კანდიდატები, ესენია: **ანა-ანჩი გურგენიძე** (ოქრო), **მიქაელ-იჩქით** გურგენიძე (ოქრო), **მარიამ რაზმაძე** (ოქრო) და **ანა ჩაგუნავა** (ვერცხლი).

გაგაცნობთ სკოლის წარმატებული მასწავლებლების სიას: **ქეთევან გოგეიშვილი, ნინო ცინაძე, თეა ავალიანი, მაკა ხაბეიშვილი, მანანა ლომაძე, აველინა ვარდოსანიძე, ნატო გიორგაძე, სალომე ჯულაყიძე, ნათია გაბინაშვილი, მაია ჭუმბურიძე, ნათია დარბაისელი, ირინა კირვალიძე, ლალი ოქრუაძე, ნატო კოდუა, მაია წოწონავა, მანანა ბასიაშვილი, ასმათ ჩხუბიანიშვილი, ნატო ნადირაძე, ნუნუ ჯავახიშვილი, ირმა ბარბაქაძე, თამუნა ნინიკაშვილი, მაყვალა ალიაშვილი, ნინო სეხნიაშვილი, მარინა სიხარულიძე, ნათია ბუთხუზი, თინათინ რუხაძე, ნანა ნებიერიძე, ხათუნა იოსელიანი, მარინა ოთარაშვილი, ნინო მერაბიშვილი, ნინო დალაქიშვილი, ნინო სახელაშვილი-მინაძე, რუსუდან ტალახაძე, ხათუნა გაგოშიძე, ფედოსი ჯაჯანიძე, მარინა ინჯგია, მაია მირიანაშვილი, ნანა ნადირაძე, თამარ თიკანაძე, სიუზი მეტონიძე, ანი კანდელაკი, ნინო გალუაშვილი, მიხეილ სიჭინავა, ლუბა ნანიკაშვილი, მარიამ შალამბერიძე** და სხვები სანიმუშო პედაგოგები არიან.



შარშანდელი წელი ნაყოფიერი იყო სკოლისთვის, რადგან სკოლის მოსწავლეები ფეხბურთში გახდნენ **„კოკა-კოლას“** ფინალისტები. სკოლა ჩაერთო პროექტში **„უსაფრთხოების ათი გაკვეთილი“** V კლასში. წლის ბოლოს კი, გაითამაშეს მიწისძვრის იმიტაცია. ხშირად იმართება შემოქმედებითი ღონისძიებები და სხვადასხვა აქტივობები. სკოლას ხშირად სტუმრობენ ჩვენი საზოგადოების ცნობილი წარმომადგენლები. მოსწავლეები შეხვდნენ ახალგაზრდა მწერალს **დავით გაბუნიას „კითხვის საერთაშორისო დღესთან“** დაკავშირებით. სკოლაში, ჯანსაღი ცხოვრების პროპაგანდას დიდ მნიშვნელობას ანიჭებენ. გაიმართა სპორტული ღონისძიებები: **„ჩაერთე რაგბში!“**, ოლიმპიური თამაშები კალათბურთსა და ფეხბურთში.

აღსანიშნავია, სამინისტროს მიერ ჩატარებული ოლიმპიადები, როგორც საგნობრივ, ასევე სამოქალაქო განათლებაში. მოსწავლეები მონაწილეობდნენ **„ეტალონ“**-ში და სხვადასხვა კონკურსებში **„კინგსი“, „სმარტი“, „ევერესტი“, „რობინსონი“.**



სკოლა მუდმივად ზრუნავს მოსწავლეებში წიგნიერების განვითარებაზე. ამ მხრივ იმართება მთელი რიგი ღონისძიებები და კონკურსები. **შოთა რუსთაველის იუბილეს მიეძღვნა ღია გაკვეთილი** და **დაიდგა სპექტაკლები**. მე-12 კლასელებისთვის კი, ლამაზი, ამაღლებული და ემოციურად დატვირთული ბოლო ზარი გაიმართა.

165-ე სკოლის დირექცია და პედაგოგიური კოლექტივი მოწოდებულია იმისათვის, რომ აღზარდონ ჯანსაღი და განათლებული მომავალი თაობა და ეამაყებათ, რომ მათი კურსდამთავრებულები გამორჩეულები არიან და ამისთვის უმაღლეს სასწავლებლებიდან მადლობის სიგელებს იღებენ.

ასეთი გულანთებული მუშაობის შედეგები ყოველთვის კეთილია, წარმატებული და სასიხარულო.

**მზია გოგოძე**



ხელოვნების მე-19 სკოლის ტრიუმფალური სვლა

# პედაგოგთა კოლექტივის ჭეშმარიტი საგანძური

* მინისტრის ოცდაორათასიანი ბოდიში.
* კონსულტანტად – კონსერვატორიის რექტორი.
* «დაისს» ჰობოი იწყებს.
* სოლისტების სამჭედლო.

**ლუკას** სახარებაში ანგელოზ-თა გუნდი ღვთაებრივი გალობით ამცნობს მეჯოგეებს მაცხოვრის მოვლინებას. ეს ის უზეშთაესი ჰანგები იყო, რითაც უფალს ადიდებენ ანგელოზთა დასნი და დასნი. სწორედ ამ ღვთაებრივი მუსიკის ნაპერწკალი უწყალობა მამაზეციერმა მუსიკოსებს, გენია-ლური ნაწარმოებები შეაქმნევინა, ხოლო მუსიკის მასწავლებლები იმისთვის არიან მოწოდებულნი, რომ ამ ჯადოსნურ, ზეალმატაც, სულის განმსპეტაკებელ ღვთის წყალობას მრავალნი აზიარონ,



შეუსისხლხორცონ, თანაც, სწო-რედ იმ საწყისიდან მოყოლებუ-ლი, საიდანაც ყოველი ჩვენგანი მოდის – ბავშვობიდან.

**ოთარ თაქთაქიშვილის** სახე-ლობის თბილისის ხელოვნების მე-19 სკოლის პედაგოგებს ეს მისია ძირისძირობამდე აქვთ გაცნობიერებული. შესვლისთა-ნავე თვალში გეცემათ ლოზუნ-გად გამოფენილი მათი მრწამსი: **„მუსიკა ღმერთებისათვის გაჩე-ნილი ლოცვაა, ხოლო მუსიკოსი – ღმერთებთან ამ ლოცვით მოლა-პარაკე“**.

სკოლის მთელი კოლექტივი: დირექტორი – **თამაზ მოლაშვი-ლი**, ფორტეპიანოს პედაგოგები: **თამარ კაპანაძე** (სასწავლო ნაწი-ლის გამგე), **ნაირა გალისტიანი**, **მარინე გელაშვილი**, **რუსუდან გიგავა**, **ნინო ებრალიძე**, **შორენა ებრალიძე**, **ნინო მინასიანი**, **ელე-ნე მიქაძე** (საფორტეპიანო განყო-ფილების გამგე), **თინა მჭედლიშ-ვილი**, **ნელი ოგანოვი**, **დარეჯან კეკელიძე**, **მანანა ჩიკვაიძე**, **თამარ ციმაკურიძე**, **ფატიმა ხალიშვილი**, **ევგენია ხურშუდიანი**; ორკეს-ტრის დირიჟორი **სერგო ტყაბლა-ძე**, მთავარი ბუღალტერი და გამოყენებითი ხელოვნების პედა-გოგი **ჟუჟუნა გოქაძე**, ვისი კაბი-ნეტიდან გამოსვლა არ მოგინდე-ბათ საარაკო ნაკეთობების გამო; საორკესტრო განყოფილების სასწავლო ნაწილის გამგე, ვალ-ტორნის პედაგოგი **არჩილ ბაკუ-რაძე**; დასარტყამი ინსტრუმენტე-ბის – **გულნაზ ჭელიძე**, **გიორგი ვართანოვი**, **თამაზ ბერიაშვილი**, ტრომბონის – **გიორგი გაგნიძე**, საყვირის – **ნუგზარ გეწაძე**, **ემ-ზარ გვარამაძე** და **ალექსანდრე ქუთათელაძე**; ვიოლინოს – **მა-რინე დავითულიანი**, კლარნეტის და საქსაფონის – **ომარ კოტი-შაძე**, ფლეიტის – **ზაქარია პირ-მისაშვილი** და **ელენე ჯელაძე**; კონცერტმაისტერები: **ნინო ავა-ლიანი**, **ვლადიმერ ზურაბიშვილი**, **თინა კაჭახიძე**, **ელისო კიკნაძე**, **სალომე ტომარაძე**, **მანონ ყუბა-ნეიშვილი**, ბლოკ-ფლეიტის პედა-გოგი **მარინე ჩხობაძე**, თეორიისა – **მარიამ ალაფიშვილი**, **ინა გვე-ტაძე**, **გულნაზ ზედანია**, მუსიკის ლიტერატურისა – **ფატმან ხოფე-რია**, გუნდისა – **თინათინ იმერ-ლიშვილი**, სახვითი ხელოვნებისა – **ხათუნა ფაჩულია**, ქართული ხალხური ცეკვებისა – **ნათია ჩი-ტაური**, **ბაქარ ხინთიბიძე**, **ინგა ცანდიშვილი**, ვოკალისტი **მზია ჭილაძე**, კონსულტანტი **რევაზ კიკნაძე** (კონსერვატორიის რექ-ტორი), მუსიკის გამფორმებელი, კომპოზიტორი **მერაბ მერაბიშ-ვილი**, ფორტეპიანოს ამწყობი **იურა კოხი** და ინსტრუმენტების ხელოსანი **გიორგი მოსკალენკო** (მათს ოსტატობაზეა, რამდენად გამართული იქნება ინსტრუმენ-ტები), სამნეო განყოფილების გამგე **ნინო გვარამაძე**, ბუღალ-ტერ-ოპერატორი **თამარ სიხარუ-ლიძე**, საქმეთამმართველი **თინა შპეტიშვილი** (ისინი საუცხოოდ უძღვებიან თავთავის საქმეს), დამლაგებლები: **ლელა პაპკიაუ-რი**, **მარინე ჭინჭარაძე** (ჰიგიენუ-რი გარემო მათი დამსახურებაა) სწორედ ზემოთქმული მრწამსით იღვწიან.



ამის დასტური სკოლის ყო-ველდღიური რუდუნებაა, მაგრამ მრავალთაგან ორიოდე მაგალითი მოვიშველიოთ: ჩასაბერ ინსტრუ-მენტებზე სწავლა 1996 წლამდე უფასო იყო. ამ წლიდან გადა-სახადი დააწესეს. მე-19 სკოლა ორხევშია. აქ თითქმის ყოველი 2-3 ოჯახი სოციალურად დაუ-ცველი ან გაჭირვებულია. რა ექნათ? პედკოლექტივმა, **თამაზ მოლაშვილის** თაოსნობით, ასე დაძლია ეს სირთულე: **დირე-ქტორი იქვე მდებარე 156-ე სა-ჯარო სკოლაში მივიდა, ბავშვები დაარწმუნა, სწავლა უფასოაო, 60 ყმაწვილი წამოიყვანა და მათი სწავლების საფასური – 360 ლარი მასწავლებლებმა გადაიხადეს.**

ასე გადაარჩინეს დაშლას უნი-კალური ორკესტრი.

ეს 1997 წლის იანვარში მოხდა, პირველ ივნისს კი, ბავშვთა დაცვის საერთაშორისო დღე-ზე ფენომენალური გამოსვლის შემდეგ, **თამაზ მოლაშვილმა** ორკესტრი მერიასთან მიიყვანა, დააკვრევინა და აღტაცებულ-გაოგნებული „მერიელები“ საფა-სურის გაუქმებაზე დაიყაბულა. ჩასაბერ ინსტრუმენტებზე სწა-ვლა ახლაც უფასოა.

**სოფიო ჩიტიაშვილი** მეორე კლასში იყო, როცა ფლეიტაზე 14 ნაწარმოები (!) ზეპირად დაუკრა. **პედკოლექტივმა, დირექტორის ინიციატივით, მისთვის სტიპენდიის შექმნა (სწორედ რომ შექმნა) გადაწყვიტა. მთავრობამ რამდენიმე წლის მერელა აუბა მხარი ამ ინიციატი-ვას**, მაგრამ რა? რაკილა ჩასაბერ ინსტრუმენტე-ბზე დაკვრა უფასოა, ამ სპეციალობების მოსწა-ვლეებს სტიპენდია არ ერგებათ, ორმაგი და-ფინანსება გამოვა და ამის უფლება არა გვა-ქვსო.



მამაცხონებულებო, ნიჭი ორ-მაგად კი არა ასმაგადაც უნდა დააფინანსოთ, სული უბეროთ, ეს ხომ საქართველოს მომავალი სახელი და დიდებაა?! კანონე-ბიც თქვენი „შეთხზულია“. ჰოდა, შეცვალეთ საქმის, ბავშვების სა-კეთილდღეოდ, ვინ დაგიშალათ?

**აგერ, ჩამოვიდა 90-იან წლებში არგენტინელი დირიჟორი კლინგე, მოუსმინა ამ სკოლის აღზრდილ მესაყვირე ზურაბ ჭლიკიშვილს და ცოლშვილიანად თავისთან გაა-ქანა.**

**თავი ანებეთ ნიანგის ცრემლე-ბის ღვრას, ინტელექტი, ნიჭი გაე-დინებაო და საქმე დაგვანახეთ – ყმაწვილებსაც შეუქმენით სათა-ნადო პირობები და მათ აღმზრ-დელ პედაგოგებსაც დაუფასეთ შრომა – ღირსეული ანაზღაურება დაუნიშნეთ!**



**თორემ, თუ ასე გაგრძელდა, აღარც სიმფონიური ორკესტრები გვექნება, ვეღარც საქართველოს ჰიმნს შევასრულებთ და „დაის-საც“ ვერ მოვუსმენთ, რადგან მის უვერტიურას ჰობოი იწყებს – ჩა-საბერი ინსტრუმენტების გარეშე ეს ყველაფერი წარმოუდგენელია!**

არადა, ამ სკოლის აღზრდი-ლია კონსერვატორიის კურსდამ-თავრებული **ნინო ჯამერაშვილი** (ტუბა) სამხედრო ორკესტრის სოლისტი, ორკესტრში კიდევ 7 ამ სკოლელი უკრავს. **ვალერი საათაშვილი** (საყვირი) კონსერვა-ტორიის მაგისტრანტი, **ვახტანგ კახიძის** სიმფონიური ორკესტრის სოლისტი და „იომაჰას“ ფირ-მის სტიპენდიანტი – ამ ფირმის მიერ გამართულ საერთაშორისო კონკურსში, სადაც 16 ქვეყანა მონაწილეობდა, მან გაიმარჯვა. **მერაბ მეტრეველმაც** (ტუბა) დაამ-თავრა კონსერვატორია და იმავე ორკესტრის სოლისტია. კონ-სერვატორიის რექტორს, ბატონ **რევაზ კიკნაძეს** სკოლაში რომ 8 საქსაფონისტი დახვდა, მათი რაოდენობით გაკვირვებულმა და შესრულებით მოხიბლულმა კონ-სულტანტობა იკისრა და ასრუ-ლებს კიდეც.

სკოლაში მოწვეული კულ-ტურის მინისტრი **მიხეილ გიორ-გაძე** ისე აღაფრთოვანა ორკეს-ტრის შესრულებამ, რომ ბოდიში მოუხადა ბავშვებს, აქნობამდე როგორ არ ვიცოდი თქვენი არ-სებობაო და სკოლას 22 ათას 400 ლარი გადაურიცხა. ამას, საახალწლოდ, მერიის 10 ათასი ლარიც დაემატა და ახალი ინს-ტრუმენტები შეიძინეს, ფორმები შეიკერეს.

კეთილი და პატიოსანი, მაგრამ საშვილიშვილო საქმეს ერთჯე-რადი ღონისძიებები ვერ უშვე-ლის. მას მუდმივი ყურადღება და პატრონობა სჭირდება. ამ მხრივ სკოლა ემადლიერება მერიის კულტურის სამსახურის მთავარ სპეციალისტს **ია ქარდავას**.

ხელოვნების მე-19 სკოლის ორკესტრს (ამ სახელწოდებით მოვიხსენიებ), საბჭოური პე-რიოდიდან მოყოლებული, იმდენ რესპუბლიკურ თუ საკავშირო ღონისძიება-ფესტივალში მიუღია ტრიუმფალური მონაწილეობა, ჩამოთვლა ძალზე გაგვიგრძე-ლებდა სიტყვას. ოღონდ, ამას კი ვიტყვით: 2003 წელს უპრე-ცედენტო – გოგონათა სასულე ორკესტრი ჩამოყალიბდა.

ღირსების ორდენის კავა-ლერის, მრავალი ჯილდოთი და სიგელით დაჯილდოებული, ამაგდარი პედაგოგისა და გა-მოცდილი დირექტორის ბატონ **თამაზ მოლაშვილის** კაბინეტი, ამ სიტყვის ძველქართული გაგე-ბით, სალარო, ანუ საგანძურია – უამრავი დიპლომი, სიგელი, მა-დლობა...

ეს პედაგოგთა კოლექტივის შემოქმედებითი, მიზანსწრაფუ-ლი, თავდადებული შრომის „მო-სავალია“. მაგრამ აღმზრდელთა ჭეშმარიტი საგანძური აღსაზრ-დელები არიან და სწორედ ამ საგანძურს დაფოფინებენ, ესა-თუთებიან და ცხოვრების დიდ გზაზე გაჰყავთ.

**კონსტანტინე გურგენიძე**

**P.S. ორიოდ შტრიხიც: უამრავ ჯილდო-სიგელ-დიპლომისგან გა-მორჩეულად ფოიეშია გამოკრუ-ლი საპატრიარქოსთან არსებული ახალგაზრდობის სულიერი და ინტელექტუალური განვითარე-ბის ცენტრის სიგელი, გვერდით კი ბრძანებულებაა 2002 წელს სკო-ლისთვის, კვლავ ბატონი თამაზის ინიციატივით, ოთარ თაქთაქიშვი-ლის სახელის მინიჭების შესახებ და მოკლედ არის აღწერილი მაეს-ტროს ღვაწლი.**

**ასე დაუკავშირეს უმაღლესი პრიორიტეტი – აღსაზრდელთა ზნეკეთილობა, სულიერება მოვა-ლეობის შეგრძნებას,რაც სწორედ ამ თვისებების ჩამოყალიბებას შეუწყობს ხელს – გაიაზრე, გაი-თავისე, ვისი სახელობის სკოლაში ხარ და მისი ღირსი იყავი სწავლა-სა და ცხოვრებაშიო.**

**86-ე საჯარო სკოლა სასიკეთო ცვლილებათა ზღურბლზე**

# გეოგრაფიული და სასწავლო პროცესის სიმაღლეთა შესატყვისობით



**თბილისის** 86-ე საჯარო სკოლა ელიის მთის თავზე, მახათის მთის ძირში მდებარეობს და რაოდენ სასიხარულოა, რომ გეოგრაფიულ სიმაღლეს სასწავლო პროცესის „სიმაღლე“ შეესატყვისება. ეს მითუფრო ფასეულია, რომ სკოლა ავარიულია. მომავალ სასწავლო წელს მის პედკოლექტივსა და აღსაზრდელებს 89-ე საჯარო სკოლა შეიკედლებს. 86-ე სკოლელებს ძალზე ეიმედებათ, რომ 2018 წლის მიწურულს ძველ ადგილზე ახალსახლობას იზეიმებენ.

გამართულად მუშაობს შვიდივე საგნობრივი კათედრა: დაწყებითი კლასების – ხელმძღვანელი **მაია ქარსაულიძე**; ქართული ენისა და ლიტერატურის – **ნესტან ლუდუშაური** (სერთიფიცირებული); მათემატიკისა და ინფორმატიკის – **კარინე მინასიანი**; **ქრისტინე ესიტოვა** (ინგლისური), **სიდონია ჟიჟილაშვილი** (ისტორია), **ნანული სიჭინავა** (ქართული), **სოფიო ფილაშვილი, ნელი სოსელია** (რუსული). საბუნებისმეტყველო მეცნიერებათა – **სუზანა ეფრიკიანი**; საზოგადოებრივ მეცნიერებათა – **მაია ლომსაძე**; უცხო ენების – **მანანა ტაბუევა** (სერთიფიცირებული); ესთეტიკური ციკლისა და სპორტის – **ერმონია ფიცხელაური**.



კათედრები მიზანმიმართულად, თანამედროვე მოთხოვნათა დონეზე, ურთიერთშეთანხმებულად წარმართავენ მოსწავლეთა სწავლა-აღზრდის რთულ, მრავალმხრივ პროცესს.

სერთიფიცირებული პედაგოგები: **სოფიო ასტვაცატუროვი** (ქიმია), **ვიოლეტა ვოსკანიანი** (რუსული), **ანაიტ მუტაფიანი** (ისტორია), **შორენა საგინაშვილი** (გეოგრაფია), **ხათუნა სეფიაშვილი** (დაწყებითი), **ირმა ჯავახიშვილი** (ქართული) ყოველდღიური თავდადებული შრომით ადასტურებენ, რომ არათუ თანამდებობრივად, არსობრივად არიან პედაგოგები და მთელ ძალისხმევას განათლებული, ზნეკეთილი თაობის აღზრდისაკენ მიმართავენ. მათ ღირსეულ კოლეგობას უწევენ: **ლამარა გევორქოვი, რუსუდან გიოშვილი, ხათუნა მელია, ფლორა შახრამანოვი** (დაწყებითი); **ლეილა არუთინოვი** (მათემატიკა); **კარინე გიორგაძე** (ფიზიკა), **გიორგი გურგენიძე** (სპორტი),

სწავლასთან ერთად, პედაგოგები დიდ ყურადღებას უთმობენ მოსწავლეთა პატრიოტულ და ინტერნაციონალურ აღზრდას, რაც ყმაწვილთა მეგობრობის, ურთიერთდახმარებისა და თანადგომის საფუძველია.



ეროვნული ოლიმპიადის III ტურში გავიდა XII კლასის მოსწავლე **ინგა ტანინიანი**; საგანმანათლებლო პროგრამა **„ეტალონის“** ფინალისტი იყო X კლასელი **კონსტანტინე ჩალაძე**; მოსწავლე-ახალგაზრდობის ეროვნული სასახლის სიგელით დაჯილოვდა სკოლის მახვილგონიერთა და მხიარულთა გუნდი ამავე სახელწოდების კონკურსის ნახევარფინალში გასვლისათვის.

ქართულ-ესტონური საგანმანათლებლო პროექტის –**„ხარისხიან განათლებაზე ხელმისაწვდომობის გაძლიერება საქართველოს ბავშვებისათვის“** – რაშიც მონაწილეობენ ესტონეთის განათლებისა და კვლევების სამინისტროს ფონდი **„ინოვე“**, გაეროს ბავშვთა ფონდი და რომელსაც ესტონეთის საგარეო საქმეთა სამინისტრო აფინანსებს – განსახორციელებლად შერჩეული თბილისისა და რეგიონის 5 საპილოტე და 10 ქსელის სკოლიდან ერთ-ერთი 86-ე სკოლაა, რაც, თავისთავად მრავლისმთქმელი ფაქტია. პროექტი სკოლის მენეჯერების, ახალი ეროვნული სასწავლო გეგმის მიხედვით, დაწყებითი საფეხურის პედაგოგთა გადამზადებას; შერჩეული სკოლების საჭიროებების კვლევისა და მათთვის რეკომენდაციების მომზადებას, სასწავლო პროცესის ახალ ეროვნული სასწავლო გეგმის მიხედვით დაგეგმვას, წარმართვასა და მონიტორინგს ითვალისწინებს.

15-ვე სკოლის დირექტორებს უკვე ჩაუტარდათ მასტერკლასები ესტონეთში, გაეცნენ ტალინის სკოლების მართვისა და სასწავლო პროცესის დაგეგმვის ხერხებსა და მეთოდებს, დაისახა მათთან თანამშრომლობის გზები.



გავიმეორებ: ასეთი პროექტისათვის სკოლებს საგულდაგულოდ არჩევენ. ეს, უპირველესად, სკოლის სწორად მართვის შედეგი და დირექტორის დამსახურებაა.

ქალბატონი **ნანა ქაჯაია** 86-ე სკოლას 2014 წლიდან უდგას სათავეში. მან ივანე ჯავახიშვილის სახელობის თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტის ფილოსოფია-ფსიქოლოგიისა და საზოგადოებრივ პროფესიათა ფაკულტეტები დაამთავრა ფსიქოლოგიისა და სამართალმცოდნეობის სპეციალობებით.

შემდეგ მუშაობდა შსს-ოს, სოციალური კვლევის, მოსახლეობის პროფესიული ორიენტაციის ცენტრებში, განათლების სისტემის პასუხსაგებ თანამდებობებზე, იყო თბილისის 32-ე საჯარო სკოლის დირექტორი. გავლილი აქვს ცოდნის გასაღრმავებელი, კვალიფიკაციის ასამაღლებელი ტრეინინგები, არის მეცნიერული კვლევებისა და სტატიების ავტორი ყმაწვილების სწორი ფსიქოლოგიური აღზრდის აქტუალურ საკითხებზე.

ქალბატონი ნანა კოლეგიალობით, მიზანმიმართული შემოქმედებითი მუშაობით აღწევს იმას, რომ სკოლის მთელმა კოლექტივმა ერთიანი ორგანიზებით იღვაწოს მომავალი თაობის აღზრდის ურთულეს, მაგრამ საპატიო გზაზე.

გვჯერა, 86-ე საჯარო სკოლა, ახალსახლობის შემდეგ, გაცილებით დიდი წარმატებებით გაგვახარებს.

**მარიამ გურგენიძე**

---

**საქმე და სიტყვა, რომელიც გვეჩოთირება**

# როგორ ვერ მომატყუა დირექტორმა

**შაშკინის** შეუქცევადი შიში დღესაც ბუდობს ზოგიერთი სკოლის დირექტორის თავში. შიში ბევრი რამის გამო იყო. ერთ-ერთი მათგანია ჟურნალისტებთან, თუნდაც მასწავლებელთა გაზეთის თანამშრომლებთან ურთიერთობის გამო, დირექტორებს ჟურნალისტებისგან თავის არიდების მეთოდიკა ისე აქვთ დახვეწილი, თითქოს ამ მიზნით, ტრენინგები გაიარესო.

სამინისტროსგან სკოლებისთვის დარიგებული ინსტრუქციის ერთ-ერთი მუხლის დაზუსტების მიზნით დირექტორს „დავუკავშირდი“, მაგრამ დავუკავშირდი კი? საქმის მწარმოებელმა გამომძიებელივით გამომკითხა: „ვინა ხარ, სიდან მოსულხარ, ან კი მიდიხარ სადაო?“ – ჟურნალისტი ვარ, განათლების სისტემის მუშაკი, – გავიგებ, არის თუ არა დირექტორი. პაუზა და პასუხი: სამინისტროშია წასული.

კიდევ ხუთ სკოლას დავუკავშირდი. პასუხები: „რესურსცენტრშია“, „შეხვედრაზეა“, „ტრენინგზეა“, ე. ი. სკოლაში არასოდეს არ არის. ეჭვი შემეპარა და დავრწმუნდი, მატყუებდნენ. მეექვსე სკოლიდანაც იგივე პასუხი. – გთხოვთ მობილურის ნომერი ჩამაწერინოთ. – აკრძალული გვაქვს.

გამახსენდა, რომ ამ სკოლაში მეგობარი მუშაობდა. – თუ ძმა ხარ, ერთი გამიგე, თქვენი დირექტორი სად არის? – აგერაა, თავის კაბინეტში ზის. ისევ ვურეკავ საქმეთა მწარმოებელს: არა გრცხვენიათ? ცხვირწინ გიზის დირექტორი და მე თქვენს კოლეგას ასე უტიფრად რომ მატყუებთ? მკითხველო, აი, ბიუროკრატიზმის კლასიკური მაგალითი.

### მედასავლეთე ქართველების აფორიზმები

**რუსთაველის ხმაზე**: „ამერიკული დოლარი მირჩევნია სულსა, გულსა“. „სჯობს დოლარისა მოხვეჭა, ყოველსა მოსახვეჭელსა“. „ხამს დოლარი ევრო ჩემთვის, ამერიკა – გზად და ხიდად“.

**ბარათაშვილის ხმაზე**: „ჯანი გავარდეს აწ ენას, მამულს, ოლონდ ვაამო ჩემს საკუთარ გულს!“ „რის ქართველობა, რა ქართველობა, ვითომ რას მავნებს ინგლისელობა?“

**ერისთავის ხმაზე**: „მე მირჩევნია მამულსა ინგლისი დოლარიანი“.

### „ო, ენავ, ჩემო!“

„შედეგებზე ორიენტირებული“. უშედეგობაზე, გაკოტრებაზე ორიენტირებული საქმე სადმე გინახავთ? უნდა იყოს: „მაღალ შედეგებზე ორიენტირებული“.

„განვითარების სამინისტრო“, „განვითარების სამმართველო“. სიტყვა **„განვითარების“** ზედმეტია. ყველა დაწესებულება ამა თუ იმ დარგის განვითარებისთვის, წარმატების მიღწევისთვისაა შექმნილი და არა დაკნინებისთვის. უნდა იყოს ტრადიციულად: „განათლების სამინისტრო“, „ეკონომიკის სამინისტრო“ და არა „ეკონომიკის მდგრადი განვითარების სამინისტრო“.

სოფელ კოდის შესასვლელში, ტრიალ მინდორზე დგას ბოძი, რომელსაც აწერია: **„თეთრიწყაროს მუნიციპალიტეტი“**. ადრე ეწერა **„რაიონი“**, რომელიც ნამდვილად სწორია. **რაიონი** ფრანგული სიტყვაა და ნიშნავს გეოგრაფიულ სივრცეს, იმ ტერიტორიას, რომელიც თეთრიწყაროს გამგებლობაში მას ეკუთვნის. **„მუნიციპალიტეტი“** გერმანული სიტყვაა და ნიშნავს თვითმმართველობას, რომელიც უნდა ეწეროს ქალაქის იმ შენობას, რომელშიც ეს ორგანიზაცია არის განთავსებული. ახლა კი, ასე გამოდის, ეს ბოძი ყოფილა თვითმმართველობა. ყველა საჯარო სკოლაში ჩამოყალიბებულია მოსწავლეთა თვითმმართველობა. მოდი, დავუძახოთ: **„მოსწავლეთა მუნიციპალიტეტი“**, **„სტუდენტთა მუნიციპალიტეტი“**. როგორი იქნება ჰა?

**მოსე მწერალი**

მომავალზე ორიენტირებული სასწავლებელი

# ორგზის ხუთვარსკვლავიანი კოლეჯი



**75 აქტიობა** ერთ სასწავლო წელს. თან, ერთობ მრავალმხრივი, გააზრებული, სწორად ორიენტირებული და, ამდენად, წარმატებული. წარმატებული, რადგანაც კერძო კოლეჯების ასოციაციამ ზედიზედ ორჯერ მიანიჭა უმაღლესი შეფასება – 5 **ვარსკვლავი**; განათლების სამინისტროსა და განათლების მართვის ეროვნული ცენტრის სიგელები; **„ოქროს რეიტინგის“** საპატიო ნიშანი სტატისტიკური რანჟირების მიხედვით... და წარმატების ყველაზე პირუთვნელი დასტური: სტუდენტების რაოდენობის კანონით დაშვებული ზედა ზღვრის – მატერიალურ-



ტექნიკური ბაზისა და ფართის შესატყვისად – ყოველწლიური გადაჭარბება. ანუ, ფაქტობრივად, კონკურსი. ამ სასწავლო წელს „ასეთი ზღვარი“ 220 აბიტურიენტის ოდენობა იყო. „ანშლაგს“ კონკურსი მოჰყვა. არადა, ბევრ კოლეჯს, უპირველესად, კონტინგენტი უჭირს.

ასე ააწყო და წარმართა მუშაობა თბილისის პროფესიულმა კოლეჯმა **„ბიზნესისა და ტექნოლოგიების აკადემიამ“**. ამ სახელწოდებაშიც ჩანს, როგორ სტატუსს „უმიზნებს“ კოლეჯი და, ზემოთქმულისა და იმის გათვალისწინებით, რასაც აპირებს სასწავლებლის ახალგაზრდა, შემოქმედი კოლექტივი და დირექტორი – **სოფიო მაჭარაშვილი**, კოლეჯის უმაღლეს სასწავლებლად გარდაქმნა რეალურ პერსპექტივად ისახება.

**სოფიო მაჭარაშვილმა** 1998 წელს დაამთავრა თბილისის სამედიცინო ინსტიტუტი ექიმ-პედიატრის სპეციალობით და მუშაობა მამის, ყოფილი პროფესიულ-ტექნიკური განათლების სისტემის ღვაწლმოსილი მუშაკის **ანზორ მაჭარაშვილის** მიერ დაარსებულ კოლეჯ **„ორიენტირში“** დაიწყო პედიატრიისა და მედდის საქმის მასწავლებლად („ბიზნესისა და ტექნოლოგიების აკადემია და კოლეჯი „მომავალიც“ ბატონი ანზორის დაარსებულია); 2000 წლიდან დირექტორის მოადგილეა სასწავლო მუშაობაში; 2013 წელს – დირექტორი; 2014 წელს ეს კოლეჯი დაფუძნდა და სოფიო მისი დირექტორი გახდა. ხომ ცხადია: მამის შვილობა სულაც არ ყოფილა პირდაპირ დირექტორობის საწინდარი. **სოფიო მაჭარაშვილმა სასწავლებლის ყველა საფეხური გაიარა, დიდი გამოცდილება შეიძინა და უკვე ჩამოყალიბებულ სპეციალისტად და ხელმძღვანელად ჩაუდგა სათავეში კოლეჯ „ბიზნესისა და ტექნოლოგიების აკადემიას“.**

მისი მოქნილობის, ალღოიანობის და რეალობის საღად შეფასების დასტური: ვინაიდან სოფიოს ძირითადი საქმე ბიზნესის ადმინისტრირება გახდა, აქეთ გადაერთო. დოქტურანტურაში ამ მიმართულებით ისწავლა და ივნისში დაიცავს დისერტაციას თემაზე: **„კერძო უმაღლესი საგანმანათლებლო ბიზნესის სახელმწიფო რეგულირება საქართველოში“**. მისი შორსმჭვრეტელობის, ზემოთქმული გონივრული ამბიციის კიდევ ერთი დასტური, რაც ჯერ კიდევ კოლეჯის დასახელებაში ჩაიდო, სადისერტაციო თემის შერჩევაცაა – „კერძო უმაღლესი...“ სამეცნიერო კონფერენციებზე წაკითხული თემები: **„განათლება, როგორც ბიზნესი და როგორც ქვეყნის ეკონომიკური ზრდის ფაქტორი“, „საგანმანათლებლო გარემო და საგანმანათლებლო სივრცე“**, პრესაში გამოქვეყნებული წერილები ცხადყოფს **სოფიო მაჭარაშვილის** ინტერესთა ფართო სპექტრსა და პროფესიონალიზმს.



ახალგაზრდა დირექტორს ასევე ახალგაზრდა, პერსპექტიული და შემოქმედებითი კოლექტივი ჰყავს: იურისტი **ალინა კუპრავა**, სასწავლო დარგის მიმართულების მენეჯერი **თამუნა გოგატიშვილი**, საქმისმწარმოებელი **ხათუნა ბეჟიტაშვილი**, სამეურნეო სამსახურის მენეჯერი **ირაკლი ლალიძე**, სამეურნეო დარგის სპეციალისტი **პაატა მეგრელი**, ხარისხის სამსახურის სპეციალისტი **გიგო გიგაშვილი**, ბიბლიოთეკარი **ნონა ვასაძე**; პედაგოგები: **მაია მიქაძე** და **ქეთევან გარსევანიშვილი** – მომავალ პრაქტიკოს ექთნებს ასწავლიან; კრიმინალისტებს – **დემურ კენკებაშვილი** და კოლეჯის კურსდამთავრებული – **ლევან დადვანი** და სხვანი.

**სწორედ მათი ერთობლივი მიზანმიმართული და შეთანხმებული მუშაობის შედეგია, რომ კოლეჯი საუკეთესოთა შორისაა.**

კოლეჯში მოთხოვნადი სპეციალობებია: პრაქტიკოსი ექთნის; კრიმინალისტის; ბუღალტრის; ინფორმაციული ტექნოლოგისა და ინტერნეტ-ტექნოლოგის. სწავლება, სპეციალობების მიხედვით, 1-დან 3 წლამდეა. ბუღალტრისა და კრიმინალისტის სპეციალობები რამდენიმე საფეხურიანია. სტუდენტი თავად ირჩევს, მინიმუმი ისწავლოს თუ მაქსიმუმი. გადასახადი – 1400-დან – 1600 ლარამდე. თანხა ყოველ თვეზე ნაწილდება, რაც სტუდენტებს გადახდას უადვილებთ. თანაც, კოლეჯის ადმინისტრაციაც ყოველმხრივ უწყობთ ხელს.

ახალგაზრდები თანამედროვე დონეზე გამართულ ლაბორატორიებსა და კაბინეტებში ეუფლებიან სპეციალობებს, სათანადო დაწესებულებებსა და იმიტირებულ კრიმინალურ გარემოში გადიან პრაქტიკას, იღრმავებენ ცოდნას და სახელმწიფოს მიერ აღიარებულ დიპლომებს იღებენ, რაც მათი კერძო თუ სახელმწიფო სტრუქტურებში დასაქმების გარანტია.

სტუდენტები ერთობ ხალისიანი, მრავალფეროვანი ცხოვრებით ცხოვრობენ – სწავლაც, გართობაც, კოლეჯის მართვაში მონაწილეობაც. იმართება ძალზე საინტერესო შეხვედრები, დისპუტები, სპორტული შეჯიბრებები, ექსკურსიები. კოლეჯის ეზოშივეა სტუდენტური კაფე, სადაც მრავალი ახალგაზრდებისთვის აქტუალური ღონისძიება იმართება გართობასთან ერთად. სტუდენტური თვითმმართველობა, ადმინისტრაციის მხარდაჭერით, მრავალი საინტერესო ინიციატივის ავტორიცაა და განმახორციელებელიცაა.

ზემოთქმულის ნათელსაყოფად, ნახსენები აქტივობებიდან რამდენიმე დავასახელოთ: სტუდენტური კონფერენცია თემაზე: **„საექთნო საქმე, მისი ისტორია და განვითარების პერსპექტივები“**; შეხვედრა გერმანელ კოლეგებთან; სტუმრად ტელევიზიაში **ნინო კუზანოვთან**; პროფესიული განათლების ფესტივალი ქუთაისში; სტუმრად კლინიკა **„გულში“**; შეხვედრა საერთაშორისო ექსპერტთან განათლების დარგში **პიტერ ჰენბერთან**; ექსპერტ-კრიმინალისტ **გია დეკანოზიშვილის** სტუმრობა აკადემიაში; ურთიერთთანამშრომლების მემორანდუმი **გ. ჩაფიძის** სახელობის გადაუდებელი კარდიოლოგიის ცენტრთან; ტრეინინგი საქართველოს დამსაქმებელთა ასოციაციაში თემაზე: **„დიალოგი სამუშაო ადგილზე“**, შეხვედრა დეკანოზ **თეოდორე გიგაძესთან** თემაზე: **„ქრისტიანის თვალით დანახული დღევანდელობა“**; საზრიანთა და მხიარულთა კლუბის ფინალში მონაწილეობა...



სახელმწიფოს ყველა რაიონსა და სოფელში აქვს გათვალისწინებული ბიბლიოთეკების გახსნა. როგორც იქნა, მოეგნენ გონს – ვერა რა კომპიუტერი ვერ შეცვლის წიგნს!

ჰოდა, კოლეჯის სპეციალობებს სექტემბრიდან – ბიბლიოთეკარისა შეემატება. ანუ, სახელმწიფო პროგრამას სპეციალისტებს დაახვედრებენ.

დაბოლოს, კოლეჯის ხელმძღვანელობის პერსპექტიული, გააზრებული ხედვის კიდევ ერთი მაგალითი: სექტემბრიდან ტუროპერატორის სპეციალობასაც იმატებენ. თადარიგი კი რა ხანია დაიჭირეს: უკვე გააფორმეს ურთიერთთანამშრომლობის ხელშეკრულება ტურისტულ კომპანია **„აღმოაჩინე საქართველოსთან“**.

საქმესთან ასეთი მიდგომით, ცხადია, კოლეჯის პედაგოგთა კოლექტივის ყველაზე თამამი ჩანაფიქრებიც უთუოდ განხორციელდება.

**კოტე სარალიძე**





**ნიჭისა და უნარის აღზრდის ასპარეზი**

# ჩვენი სახლის მოსწავლეები ყველგან გვასახელებენ



**ძველი თბილისის** მოსწავლე-ახალგაზრდობის სახლს, ქართულ საგანმანათლებლო სივრცეში მეტად ღირსეული ადგილი უკავია. აქ მუდამ შემოქმედებითი ფუსფუსია და მუხლჩაუხრელად ზრუნავენ მოსწავლეების აღზრდასა და ცოდნის ხარისხის ამაღლებაზე, ნიჭისა და უნარის გაფურჩქვნაზე.

სასიხარულოა, რომ ეს სახლი ერთ-ერთი გამორჩეული საგანმანათლებლო კერაა დედაქალაქში და მაღალ შედეგებზეა ორიენტირებული. აქ შენობაში შესვლისთანავე იგრძნობა სისუფთავე, წესრიგი, ინფრასტრუქტურა მოწესრიგებულია და აღჭურვილია თანამედროვე ინვენტარით.



მოსწავლეთა სახლს, რომელიც მალე ათი წლის გახდება და იუბილარია, სათავეში უდგას ახალგაზრდა და ენერგიული ქალბატონი **ხათუნა კახიძე-ჯელია.** იგი 15 წელია, წარმატებით ხელმძღვანელობს აღზრდის ამ კერას და არის ბევრი წამოწყების და სიახლის ავტორი.

ამჟამად, მოსწავლეთა სახლში 350 მოსწავლეა. აქ ფუნქციონირებს 15 დასახელების საგნობრივი და ხელოვნების წრე: სახელოვნებო, სპორტული, საბუნებისმეტყველო და ტექნიკური მიმართულებით. წარმატებით ფუნქციონირებს **„საინტერესო შეხვედრების კლუბი“**. სასწავლებელი დაკომპლექტებულია კვალიფიციური და სერთიფიცირებული პედაგოგებით, რომელთა პერიოდულად გადამზადება ხდება და ტრენინგები უტარდებათ. გაგაცნობთ შემოქმედებითად მოღვაწე პედაგოგებს, რომლებიც ძალ-ღონეს არ იშურებენ მოსწავლეთა აღზრდა-განათლებისთვის. ესენი გახლავთ: **მაყვალა მაღრაძე, ფატი კოპალეიშვილი, ნანა ეფრემიძე, თეონა ბიწკინაშვილი, ლინა მურადიანი, ლენა ჯაფარიძე, ნატო ომანაძე, ანა კაპანაძე, ნინო აბაიშვილი და რაფაელ ანანიკიანი.**

**ხათუნა კახიძე-ჯელია:** ძველი თბილისის რაიონის მოსწავლე-ახალგაზრდობის სასახლე წარმოადგენს ა(ა)იპ ორგანიზაციას, რომელიც ემსახურება საალმზრდელო-საგანმანათლებლო არაფორმალურ განათლებას. სასწავლო წლის განმავლობაში, სახლი დატვირთულია სხვადასხვა სახის შიდა და გასვლითი ღონისძიებებით. მოსწავლეები სხვადასხვა კონკურსებში წარმატებით მონაწილეობენ. მოსწავლეთა სახლში ფუნქციონირებს ვოკალურ-ინსტრუმენტული ანსამბლი **„ნერგები“**, რომელსაც **ეკა გერაძე** ხელმძღვანელობს. სწორედ, მისი ერთ-ერთი მოსწავლე **სალომე მერებაშვილი** გახლდათ საერთაშორისო პროექტ „ნიჭიერის“ მონაწილე და ფინალისტი. გვჯერა, რომ სამომავლოდ, ანსამბლის არაერთი მონაწილე გვასახელებს. მოსწავლეთა სახლში ასევე, წარმატებით ფუნქციონირებს ქართული ხალხური ცეკვის ანსამბლი **„რუსთაველები“,** რომლის ქორეოგრაფია **ფრიდონ სულაბერიძე** (უმცროსი). აგრეთვე, ვატარებთ სამოდელო მეცადინეობებს, ფლეშმობს, პოეზიის საღამოებს, შიდა ოლიმპიადებს, კონკურსებს, ღია გაკვეთილებს სხვადასხვა წრეებში. ჩვენთან მოქმედებს საბიტურიენტო პროგრამა და მასში გაერთიანებული მოსწავლეების უმრავლესობამ უმაღლეს სასწავლებლებში მოიპოვეს გრანტი. აქტიურად ვთანამშრომლობთ მოსწავლე-ახალგაზრდობის ეროვნულ სასახლესთან, რაიონის სკოლებთან და მშობლებთან.



მნიშვნელოვანია ისიც, რომ ჩვენ მხარდაჭერას გამოვხატავთ სხვადასხვა საქველმოქმედო ფონდების მიმართ და მათ გვერდში ვუდგავართ; მაგალითად, ერთ-ერთი გახლავთ **დიტო ცინცაძის საქველმოქმედო ფონდი**. ასევე, ვთანამშრომლობთ რაიონის გამგეობასთან, რომლის მხარდაჭერით არაერთი ღონისძიება ჩავატარეთ. უნდა გითხრათ, რომ ჩვენს მოსწავლეთა სახლში ინახება სხვადასხვა ღონისძიებებზე მოწვეული სტუმრებისა და მშობლების მადლობის წერილები. ასევე, გვაქვს მიღებული სიგელები და დიპლომები, რაც გამოხატავს ჩვენი წარმატებული მუშაობის შედეგებს. ჩვენი მოსწავლეები ხშირად მართავენ კონცერტებს **მუშტაიდის ბაღში**, სტუმრობენ **მუზეუმებს** და სხვა **ღირსშესანიშნაობებს**. გვაქვს გასვლითი ღონისძიებები რეგიონებშიც. მაგალითად, ქუთაისის ოპერისა და ბალეტის თეატრში მუსიკალური სპექტაკლით წარვსდექით მაყურებლის წინაშე. ასევე, ვიმყოფებოდით კახეთში.

საგულისხმოა, რომ მოსწავლეთა სახლში ფუნქციონირებს თბილისის მერიის მიერ დაფინანსებული პროგრამა **„სწავლის წარჩინებულები“**, რომელშიც გაერთიანებულია ათი სანიმუშო მოსწავლე და მათ გადასახადს აღნიშნული უწყება ფარავს. ესენია: **ქეთი ასათიანი, მარიამ კოჭლამაზაშვილი, ანა-მარია გაგნიძე, სანდრო ქარდავა, გიორგი ხარატიშვილი, ელენე მგელაძე, თათია არხოშაშვილი, დავით ნოზაძე, ციური ტატუაშვილი** და **ელენე ნარიმანიძე.** ასევე, მერიის დაფინანსებით მოქმედებს ბენეფიციარების პროგრამა სოციალურად დაუცველი ოჯახის შვილებისთვის. მათთვის სწავლა უფასოა და მიიღებიან მოსწავლეები 6-დან 18 წლის ჩათვლით.




დირექტორის ინიციატივით ყოველი სასწავლო წლის ბოლოს ტარდება მასწავლებლების საქმიანობის შეჯამების სავარაუდო კრიტერიუმები. ასევე, ეწყობა განვლილი სასწავლო პროცესის ანალიზი, კვლევები და შეჯამება. აქ უმთავრესია მოსწავლეებთან და მშობლებთან კომუნიკაცია.

**ხათუნა კახიძე-ჯელია:** თბილისის მერიის მხარდაჭერით, მოვაწესრიგეთ ინფრასტრუქტურა და გათბობის სისტემა. ყოველწლიურად ტარდება შიდა სარემონტო და ტექნიკური სამუშაოები. სწავლის ხარისხის ამაღლებისა და კომფორტული გარემოს შედეგია ის, რომ მოიმატა წრეებზე მოთხოვნა, გაიზარდა მოსწავლეთა რაოდენობა და მშობელთა მომართვიანობა. გვერდში დგომისთვის, დიდ მადლობას ვუხდი დედაქალაქის მერიას და თბილისის მოსწავლე-ახალგაზრდობის სახლის ადმინისტრაციის ხელმძღვანელს **მანანა წნორიაშვილს**. ასევე, მადლობას ვუხდი თქვენ რედაქციას, ჩვენი ფილიალის საქმიანობის გაშუქებისთვის.



როგორც ქალბატონმა ხათუნამ აღნიშნა, წვევანდელი სასწავლო წლის დასასრული მათთვის განსაკუთრებული იქნება, რადგან მოსწავლეთა სახლები გრანდიოზული იუბილესთვის ემზადებიან. ამ მიზნით, მიმდინარეობს სამზადისი, მოეწყობა ფილიალის ხელმძღვანელების პრეზენტაცია, ადმინისტრაციის ანგარიში და გაიმართება მოსწავლე-ახალგაზრდობის სახლების საქმიანობის ამსახველი ფოტოგამოფენა. ასევე, ჩატარდება კონფერენცია თემაზე: **„თბილისი, მოსწავლე-ახალგაზრდობის სახლის განვლილი ათი წელი“**. დაგეგმილია ღვაწლმოსილი პედაგოგების დაჯილდოება.

ქალბატონმა ხათუნამ ერთი საიდუმლო უკვე გაამხილა და გვითხრა, რომ იგი აპირებს დასაჯილდოებლად წარადგინოს ღვაწლმოსილი პედაგოგი და ყველასათვის საყვარელი ადამიანი, რუსული ენისა და ლიტერატურის მასწავლებელი **მაყვალა მაღრაძე**.

ძველი თბილისის მოსწავლე-ახალგაზრდობის სახლი, სამომავლოდ, კიდევ უფრო გააუმჯობესებს, უფრო საინტერესოს გახდის საქმიანობას, გამართავს მიმზიდველ ღონისძიებებს, დანერგავს სიახლეებს და სხვადასხვა პროექტებში მიიღებს აქტიურ მონაწილეობას.



**მზია გოგოძე**

**რედაქტორის მინაწერი: გაზეთ „სახალხო განათლება+“-ის რედაქცია ძველი თბილისის მოსწავლე-ახალგაზრდობის სახლს, მის ყველა აღსაზრდელსა და პედაგოგს ახალ წარმატებებს უსურვებს.**

ვისაუბროთ ხელოვნებაზე

# როგორია ქართული ცირკი დღეს?



**საცირკო** ხელოვნების პრობლემებსა და მის განვითარების პერსპექტივებზე გვესაუბრება ჟურნალისტი და საქართველოს ცირკის მოღვაწეთა კავშირის თავმჯდომარე **გოჩა ხარატიშვილი**.

**– ბატონო გოჩა, როდის დაარსდა ცირკის მოღვაწეთა კავშირი და რა არის მისი მიზანი?**

– ჩვენი კავშირი დაარსდა 2014 წლის 25 დეკემბერს. მისი შექმნის მიზანია საცირკო ხელოვნების შემდგომი განვითარება-პოპულარიზაცია და ქართული საცირკო დასის აღდგენა, რომელიც სამწუხაროდ, დიდი ხანია აღარ ფუნქციონირებს. ჩვენს კავშირს საკუთარი ოფისი არ აქვს და ამიტომ სავალალო მდგომარეობაში ვართ. აღნიშნული კავშირის არსებობა აუცილებელია, აქამდეც უნდა ყოფილიყო. თუ გვაქვს მწერალთა და კომპოზიტორთა კავშირები, რატომ არ უნდა ფუნქციონირებდეს ცირკის მოღვაწეთა კავშირი. დღეს ეს ხელოვნება სავალალო მდგომარეობაშია.მან უნდა აღიდგინოს ძველი ღირსება, ქართული ცირკი, რომელიც სხვა ქვეყნებში ეროვნული დროშის ქვეშ გადიოდა, დაიშალა ჯერ კიდევ, გასული საუკუნის 90-იან წლებში. ის მსახიობები ე.წ. **„კონვეირი“**, რომელიც სარეზერვო ფონდს ნიშნავს, იმ ხანად, მათი მზრუნველობა საქართველოს კულტურის ფონდთან არსებულმა საზოგადოება **„ავანგარდმა“** იკისრა, რომლის თავმჯდომარე გახლდათ **ზაზა ცერცვაძე** (ამჟამად, იგი თერჯოლის რაიონის გამგებლის მოადგილეა). უნდა აღინიშნოს, რომ ამ ე.წ. „კონვეირის“ მზრუნველობის ქვეშ ცირკის მსახიობებმა სულ რამდენიმე წელი დაჰყვეს. 1995 წლის შემდეგ კი, ქართული საცირკო ხელოვნების „ჩარხი“ უკუღმა დატრიალდა და ჩვენი სასიქადულო მსახიობები აქეთ-იქეთ მიმოიფანტნენ. ბევრმა მათგანმა, გარკვეულ მიზეზთა გამო, საერთოდ დაანება თავი საყვარელ საქმეს, ზოგიერთი უკვე გარდაიცვალა. უმრავლესობა საზღვარგარეთ გადაიხვეწა და იქ გააგრძელა საქმიანობა, სადაც საცირკო ხელოვნებას უფრო მეტად აფასებენ, ეს ქვეყნებია: **უკრაინა**, **რუსეთი**, **ბელორუსია**, **თურქეთი** და ევროპის წამყვანი ქვეყნები.

გასული საუკუნის 90-იან წლებში, კონკრეტულად 1994 წელს, დღის წესრიგში დადგა ქართული ცირკის შენობის გასხვისების საკითხი. მოგეხსენებათ, რეჟიმის ცვლილებასთან ერთად, **„სოიუზგოს ცირკი“** (ცირკის საკავშირო გაერთიანება) დაიშალა. ეს უკანასკნელი კი, მის დაქვემდებარებაში არსებულ პოსტსაბჭოთა ცირკებს გვერდში ედგა და მატერიალურად ეხმარებოდა. აღნიშნული გაერთიანების დაშლის შემდეგ, ქართული ცირკი **„ცაიტნოტში“** აღმოჩნდა. ამ ფაქტს სრულიად მოუმზადებელი შეხვდა იმდროინდელი საქართველოს კულტურის სამინისტრო, რომელმაც არ იცოდა ამ უწყების მნიშვნელობა.



**– თქვენი აზრით, იმ პერიოდში აღნიშნული უწყება საცირკო ხელოვნებას სათანადოდ ვერ აფასებდა?**

– ასე გამოდის. მაშინაც კი, როცა საქართველოში საცირკო ხელოვნება „ქუხდა“, ამ სფეროში კურატორის შტატიც კი არ არსებობდა. აქედან გამომდინარე, შეიძლება ითქვას, რომ იმჟამინდელი კულტურის სამინისტრო არ აფინანსებდა ქართულ ცირკს. იმ ხანად, კი როდესაც ქართული საცირკო დასი არსებობდა და მოკავშირე ცირკის მსახიობები ჩამოდიოდნენ, დღეში 2-3 წარმოდგენა იმართებოდა, ხოლო შაბათ-კვირას უფრო ხშირად მართავდნენ საინტერესო სანახაობებს. ბილეთების ფასიც საკმაოდ იაფი იყო, დღეს კი, სამწუხაროდ, ძალიან ძვირი ღირს. მაგალითად, თუ ოჯახს 3 ან 4 შვილი ჰყავს და პერიფერიაში ცხოვრობს, ბავშვების წამოყვანა ცირკში დაახლოებით, 180-200 ლარი დაუჯდებათ. ამ თანხაში შედის ცირკის ბილეთების ფასი, ტრანსპორტირება და მომსახურება. აი, ასეთი რეალობა გვაქვს დღეს.



საგულისხმოა, რომ 1994 წლის აგვისტოში, ცირკის შენობა პატარკაციშვილების ოჯახზე გასხვისდა. სანდო წყაროზე დაყრდნობით, ხელშეკრულების თანახმად, აღნიშნულ შენობას ათი წელი პროფილი უნდა შენარჩუნებოდა. სამწუხაროდ, ეს ვადა უკვე გავიდა. ფაქტია, რომ ქართული ცირკი მაშინაც და ახლაც ძვლივს ინახავს თავს. მინდა გითხრათ, რომ დღევანდელი კრიტიკული სიტუაციის გამო, ბოლო 2-3 წლის განმავლობაში, რამდენიმე ცირკის მსახიობი შიმშილისგან გარდაიცვალა. გულისტკივილით იმასაც ვიტყვი, რომ საქართველოს სახალხო არტისტმა **სანდრო (ალექსანდრე) თედიაშვილმა**, კაცმა, რომელმაც 100 წელს გადააბიჯა და თავისი ცხოვრების ნახევარზე მეტი, 60 წელიწადი ქართული ცირკის პოპულარიზაცია-განვითარებას შეალია, ვარსკვლავის გახსნას ვერ ეღირსა და ამის დარდი მიწაში ჩაჰყვა. ეს ყველასათვის ცნობილია და მათ შორის, თეატრისა და კინოს მსახიობებისთვისაც. **სანდრო თედიაშვილს** მართლაც დიდი დამსახურება ჰქონდა, იგი ჯერ, მოზარდ მაყურებელთა თეატრში მოღვაწეობდა, შემდეგ კი, ქართულ ცირკში გადაიყვანეს და იქ სხვადასხვა თანამდებობაზე მუშაობდა. პარალელურად, პედაგოგიურ საქმიანობას ეწეოდა **თბილისის საესტრადო-საცირკო სასწავლებელში**, კვალიფიციურ, პერსპექტიულ კადრებს უმზადებდა ქართულ ცირკს.



**– ამჟამად, თუ არსებობს საესტრადო-საცირკო სასწავლებელი?**

– არა, სამწუხაროდ, 10 წლის წინათ დაიხურა. ჩვენი სურვილი და მიზანი ის არის, რომ აღნიშნული სასწავლებელი აღვადგინოთ. ვსარგებლობ შემთხვევით და თქვენი გაზეთის საშუალებით მოვუწოდებ ყველა იმ სასწავლო დაწესებულებას, სადაც ახალგაზრდობის აღზრდას ეწევიან, **დაეხმარონ ქართულ საცირკო ხელოვნებას მომავალი თაობის მოძიებით. ასევე, მივმართავ მთავრობას, კულტურის სამინისტროს, გვერდში დაუდგეს ამ ხელოვნების წარმომადგენლებს**. ჩვენი კავშირის მომზადებული პროექტის საფუძველზე კი, პარლამენტმა უნდა მიიღოს **ორგანული კანონი**, ქართული საცირკო ხელოვნების განვითარება-პოპულარიზაციის გადაუდებელ ღონისძიებათა გატარების შესახებ. ამის გარეშე, საქართველოში საცირკო ხელოვნება ვერ აღორძინდება.



ვსარგებლობ შემთხვევით და საქართველოს ცირკის მოღვაწეთა კავშირის სახელით, თანადგომისთვის მინდა მადლობა გადავუხადო **თბილისის ბაგა-ბაღების სააგენტოს** მთელ კოლექტივს და მის ხელმძღვანელს ბატონ **თემურ თორდინავას**, მოადგილეს **ნიკა თოდრაძეს** და მონიტორინგის სამსახურის უფროსს **გუგა ბედიანაშვილს**. ამ ადამიანებმა, მართლაც კარგი საქმე გააკეთეს და მხარში დაგვიდგნენ: **ქართული საცირკო ხელოვნების განვითარებაში უდიდესი წვლილი შეიტანეს.** ღმერთმა გვიმრავლოს ასეთი გულისხმიერი პიროვნებები!



**მზია გოგოძე**



ევროპული სტანდარტების დონეზე

# „ფესვები“ ფესვებმძლიერი კერაა განათლებისა



**ასი ათასი** მოწამის სახელობის სკოლა „ფესვები“ დიდ დიღომში, დემეტრე თავდადებულის ქუჩაზე, მწვანეში ჩაფლულ სკოლის შენობაში 2011 წლიდან ფუნქციონირებს. იგი 1995 წელს ქალბატონმა **მანანა გვირჯიშვილმა** არასახელმწიფო საერო სკოლის სახელით დააარსა და სკოლაში სწავლების თანამედროვე სტრატეგიებისა თუ ინოვაციების დანერგვაში წლების მანძილზე მუხლჩაუხრელად შრომობს. დირექტორი პროფესიით ქართული ენისა და ლიტერატურის მასწავლებელია. პედაგოგიური მოღვაწეობა მარნეულის რაიონის სოფელ თამარისის სკოლაში დაიწყო, შემდეგ თბილისში სამრეწველო-ეკონომიკურ ტექნიკურ სასწავლებელში გადმოვიდა, 1988 წლიდან თბილისის 186-ე საჯარო სკოლაში ქართულ ენა-ლიტერატურას ასწავლიდა და მეთოდგაერთიანებას ხელმძღვანელობდა. მას შემდეგ, რაც **მანანა გვირჯიშვილმა**, 2011 წელს საჯარო სკოლის შენობა შეიძინა, აიღო ვალდებულება, რომ ის ბავშვები, რომლებიც ამ სკოლაში სწავლობდნენ, მხოლოდ ვაუჩერული დაფინანსებით, სწავლას უფასოდ გააგრძელებდნენ. ასევე აქვთ ვალდებულება, რომ პირველ კლასში უფასოდ მიიღონ სოციალურად დაუცველი ბავშვები, რომლებსაც აქვთ არაუმეტეს 70001 ქულისა, რასაც სკოლის ხელმძღვანელობა ყოველწლიურად პირნათლად ასრულებს. მათი კეთილი ნებით, შენობის ერთ-ერთ ფლიგელში სპეციალური საცხოვრებელი ფართი გამოუყვეს სოციალურად დაუცველ მარტოხელა დედას, რომლის ოთხივე შვილი აქ სწავლობს უფასოდ.

დირექტორს მხარში ერთგულად უდგას გამობრძმედილი მოადგილე **მარინე ხოჭოლავა**, რომელსაც ძალიან დიდი წვლილი შეაქვს სკოლის წარმატებაში.

**„ფესვების“** შესასვლელშივე იგრძნობთ მოკრძალებას ფოიეში დაბრძანებული ხატებისა და სამლოცველო კუთხის მიმართ. აქვეა გამოფენილი ის ჯილდოები, სიგელები თუ სერთიფიკატები, რომლებიც მათ წარმატებებზე მიუთითებს. სკოლას აქვს თანამედროვე სტანდარტების შესაბამისი ბიბლიოთეკა, კომპიუტერული ცენტრი, მუსიკის ოთახი, სპორტული დარბაზი.

ყოველ წელს ჰყავთ ოქროსა თუ ვერცხლის მედალოსნები. წელს ვერცხლის მედლის კანდიდატია **ამირან მაზმიშვილი**. უნდა აღინიშნოს, რომ ეროვნულ გამოცდებს ამ სკოლის კურსდამთავრებულები დიდი წარმატებით აბარებენ. გასულ წელს, მათემატიკის გამოცდის 9 საუკეთესოთა შორის, ქვეყნის მასშტაბით, იყო **ელენე წიკლაური**.

მოსწავლეები აქტიურად მონაწილეობენ ოლიმპიადებსა და კონფერენციებში. ოლიმპიად**ა „ევერესტის“** მიერ მოწყობილ პროექტების კონკურსზე მოსწავლეებმა: **ნინო ობოლაძემ, სანდრო ნოზაძემ, ლულუ რუხაიამ, ზანდა გედენიძემ, გეგა აბაშიძემ, სანდრო მაჭავარიანმა** და **გიორგი მაჭავარიანმა** მოამზადეს პროექტი – „ზოგიერთი მოსაზრება **„პი“** რიცხვის შესახებ“, რომელსაც ხელმძღვანელობდნენ კათედრის თავმჯდომარე **მიხეილ ნიკოლაიშვილი**, მათემატიკის პედაგოგები – **მზევინარ კვაჭანტირაძე და გიორგი კვირტია**, ფიზიკის პედაგოგი **თამარ გვარამია**. პროექტის დასასრულს ჩატარდა ფლეშმობი, რომელიც მოამზადა **ქეთევან აბაშიძემ**. **„ევერესტის“** ოლიმპიადაში მონაწილეობის უფლება ეძლევათ მე-2 კლასიდან. წელს ხელმძღვანელობამ დააკმაყოფილა ამ სკოლის დაწყებითი კლასების პედაგოგის თხოვნა და მონაწილეობის უფლება მისცა პირველკლასელებსაც. გამარჯვებული 5 მოსწავლიდან, 3 პირველკლასელია. ასევე წარმატებით გადავიდნენ **„ვუნდერკინგსის“** დასკვნით ტურში **„კინგსელები“**: მე-3 კლასელები – **ნინი აბაშიძე, ილია ლუხუშაიძე, ირაკლი ბარბაქაძე, ნუცა ბიკაშვილი, სანდრო ლაგაზაშვილი, ლუკა ვაშაკიძე, ლუკა გიგაური, სოფიო ივანიშვილი, ანა მერკვილაძე, მარიამ ნადირაშვილი** (პედაგოგები – **ასმათ ხაბეიშვილი, დოდო დანელია, ეკა დარჩიაშვილი, თამარ ნათიძე, თამარ შარიქაძე, ლია ხელაშვილი**); მე-9 კლასელები – **თეკლა ავსაჯანიშვილი, გიორგი აბაშიძე, ნიკა ფანცხავა, სოფიო ივანიძე, ანა მერკვილაძე, მარიამ ნადირაშვილი, ასია სადოიანი, გურამ ბუჩუკური, ანდრო ყიფიანი** (პედაგოგები – **თამარ თადიაშვილი, ირმა ბენაშვილი, თიკო მახათაძე, ირმა კაპანაძე, მარიკა ხიდეშელი**); მე-10 კლასელები – **მარიამ ბუნტური, ჩგიორგი აბაშიძე, თეკლა ფეიქრიშვილი, სალომე კუნჭუაშვილი** (პედაგოგები – **დარეჯან კვანჭიანი, ირმა ბენაშვილი**); მე-11 კლასელები – **ლიზი გუგუჩია, შიო ფეიქრიშვილი, საბა ფაცაცია, საბა ქურცაძე, მარიამ ზურაბაშვილი, ნინო აბაშიძე, ალეკო ჩხეტია** (პედაგოგები – **დარეჯან კვანჭიანი, დარეჯან ცანკაშვილი, ირმა ბენაშვილი, ირმა ფაცაცია**); **მარიამ ცინდელიანი** (მე-12 კლ. პედაგოგი **ასმათ ხაბეიშვილი**); **ანი ობოლაძე** და **გურამ ბუჩუკური** (მე-8 კლ. პედაგოგები – **გიორგი კორტაია, დარეჯან კვანტალიანი**); **მაიკო ფაჯიშვილი** (მე-5 კლ. პედაგოგი – **თამარ თადიაშვილი**); **გიორგი მანაგაძე** (მე-2 კლ. პედაგოგი – **დოდო დანელია**); პირველკლასელები – **ქეთევან ბარიშვილი** და **სანდრო ლაგაზაშვილი**, რომლებმაც მონაწილეობა მიიღეს **„კინგსისა“** და **„ევერესტის“** ოლიმპიადებში.

უკვე რამდენიმე წელია სკოლა **„ფესვები“** თანამშრომლობს ავსტრიის კულტურისა და განათლების სამინისტროსთან და ახორციელებს მოსწავლეთა და მასწავლებელთა გაცვლით პროგრამებს ავსტრიაში, ჰყავთ პარტნიორი სკოლა – **ვენის** ხიდიანი სკოლა, რომლის ხელმძღვანელია პროფესორი **სილვია ფოგტი**. სკოლის ინიციატივით, 4 მაისს, ავსტრიის განათლების სამინისტროს მიერ, მინისტრის მრჩევლის **ნორბერტ ჰაბელტის** ხელმძღვანელობით, ჩატარდა გერმანული ენის სწავლების საერთაშორისო სემინარი, რომელშიც მონაწილეობა მიიღო საქართველოს ყველა რეგიონიდან მოწვეულმა გერმანული ენის მასწავლებელმა და რომელსაც ესწრებოდნენ წარმომადგენლები გოეთეს სკოლიდან, მასწავლებელთა სახლიდან, ილიას უნივერსიტეტიდან. სემინარს ასევე უძღვებოდნენ მოსკოვში **ავსტრიული** უნივერსიტეტის ლექტორი **ანდრეას კურცი** და პროფესორი, **სილვია ფოგტი**. სემინარის მონაწილე პედაგოგებს გადაეცათ ავსტრიის განათლების სამინისტროს სერთიფიკატები. როგორც ქალბატონმა მანანამ აღნიშნა, ეს სიახლე სკოლისთვის დიდი წარმატებაა. ავსტრიელები დაინტერესებულები არიან **გერმანული ენის** სწავლების დონის ამაღლებით.





სკოლას გამოუგზავნეს სახელმძღვანელოები, კომპიუტერული ტექნიკა, 2016 წლის ზაფხულში დააფინანსეს გერმანულენოვანი საზაფხულო სკოლის პროექტი ბაკურიანში, სადაც ჩამოსული იყო ავსტრიელი პროფესორი, სკოლის პედაგოგი **ვოლფგანგ შტერერი**. მომავალი წლისთვის კი იგეგმება ავსტრიელი ბავშვების აქ ჩამოყვანა. ოქტომბერში ავსტრიაში გაემგზავრება ინგლისური ენის პედაგოგი **ნატალია მირგატია** და გერმანულის პედაგოგი, რომელსაც ხელმძღვანელობა შეარჩევს.

სკოლა **„ფესვები“** ჩართულია პროფესიული განვითარებისა და წინსვლის სქემაში, გაფორმებული აქვთ მემორანდუმები ილიასა და ტექნიკურ უნივერსიტეტებთან, სამომავლოდ იგივე იგეგმება შავი ზღვის უნივერსიტეტთან. მოსწავლეებისთვის შექმნილია უსაფრთხო გარემო და სთავაზობენ ტრანსპორტით მომსახურებასაც. წელიწადში რამდენჯერმე ხდება მოსწავლეთა საჭიროებების კვლევა, რის საფუძველზეც კეთდება ანალიზი და ყურადღება მახვილდება იმ საკითხზე, რომელიც კვლევის დროს გამოიკვეთა. ჰყავთ თანამშრომელთა მოტივირებული და ენერგიული გუნდი, რომლებიც მოსწავლეებს უვითარებენ წიგნთან დამოუკიდებლად მუშაობის უნარებს და როგორც ქალბატონი მანანა ამბობს უნდა **„ისწავლონ სწავლა“** და პასუხი კითხვაზე, თუ რატომ უნდა შეიყვანოთ ბავშვი კერძო სკოლა „ფესვებში“? – ცალსახაა – იმიტომ, რომ აქ სწავლების მაღალი ხარისხია. ამისთვის მუხლჩაუხრელად შრომობენ: პროფესორები – **თამარ ჯარიაშვილი, შორენა აბაშიძე და მაია ნიკოლეიშვილი**; უფროსი მასწავლებლები – **თამარ თადიაშვილი** (ინგლისური ენა), **ვენერა კაპანაძე** (დაწყებითი კლასები), **დარეჯან კვანჭიანი** (ქართული ენა და ლიტ.), **მზევინარ კვაჭანტირაძე** (მათემატიკა), **ლერა მანუკოვა** (რუსული ენა), **მიხეილ ნიკოლეიშვილი** (მათემატიკის კათედრის ხელმძღვანელი), **თამილა სალბიშვილი** (გერმანული), **ლონდა ფარულავა** (რუსული ენა), **მარიამ ფაჩულია** (ქიმია), **ხათუნა ციცვიძე** (გეოგრაფია), **ლალი ჭკადუა** (რუსული ენა); პრაქტიკოსი პედაგოგები – **დომინიკა აბაშიძე** (სპორტი), **ციური აბაშიძე** (მათემატიკა), **ნინო აბრამაშვილი** (ინგლისური ენა), **გიორგი ამარიანი** (ისტორია), **ია ამირიძე** (მუსიკა), **ირმა ბენაშვილი** (ინგლისური ენა), **ხატია ბიბილური** (ინგლისური ენა), **ლევან ბიზიკაშვილი** (სპორტი-ძიუდო), **ქეთევან ბოგვერაძე** (ხელოვნება), **თეა გაგუა** (1 კლასის აღმზრდელი), **თამარ გვარამია** (ფიზიკა), **ნანა გვილავა** (ქართული ენა და ლიტ.), **თეიმურაზ გვირჯიშვილი** (ისტორია), **ნონა გოგუა** (სამოქალაქო განათლება), **დოდო დანელია** (დაწყებითი კლასები), **ეკატერინე დარჩიაშვილი** (დაწყებითი კლასები), **ნატალია მირგატია** (ინგლისური ენის კათედრის ხელმძღვანელი), **თამარ ნათაძე** (დაწყებითი კლასები), **მაია ნოდია** (გერმანული), **ხათუნა სულემენაშვილი** (გეოგრაფია), **თამარ სხილაძე** (მათემატიკა), **ნათია ფერაძე** (ქართული ენა და ლიტ.), **თამარ შარიქაძე** (დაწყებითი კლასები), **მზევინარ შუბითიძე** (ისტორია), **მარიამ ჩაკვეტაძე** (მებაღეობა), **დარიკო ცანკაშვილი** (ქართული ენა და ლიტ.), **ნიკოლოზ ცხომელიძე** (რელიგიის ისტორია), **თეა ხვარძიკია** (1 კლასის აღმზრდელი), **მარინა ხოჭოლავა** (ფიზიკა), რომელიც საბუნებისმეტყველო კათედრის (ხელმძღვანელი – პროფესორი **თამარ ჯარიაშვილი**) თვალსაჩინო წარმომადგენელია. ასევე, ამ კათედრის წევრები არიან ხარისხის მართვის მენეჯერი **თამარ გვარამია** და **შორენა აბაშიძე.**

თავისი საქმის ჩინებული სპეციალისტები არიან ადმინისტრაციის ხელმძღვანელი, პედაგოგი **ირინა ქულიჩიშვილი**, საქმისმწარმოებელი **გვანცა ჩაჩავა**, ბიბლიოთეკარი **ნანა ინასარიძე**, ექიმი **რუსუდან ადამია**. სკოლის ორგანიზატორი და ერთ-ერთი საუკეთესო

გაგრძელება მე-10 გვ.



მე-9 გვერდიდან

დამრიგებელია **ქეთევან აბაშიძე**.

სკოლაში ფუნქციონირებს კათედრები, საგნობრივი წრეები, მხატვრული დიზაინი, ესთეტიკური აღზრდის სტუდია (ხელმძღვანელი **მაია სურგულაძე**), ინგლისური ენის ცენტრი, მუსიკალური სტუდია.

წარმატებით მუშაობს ქართული ენისა და ლიტერატურის კათედრა, ხელმძღვანელი – **ნანა გვილავა**, ამავე დროს ინტელექტკლუბის შემქმნელიცაა. პედაგოგ **დარეჯან კვანჭიანის** ინიციატივით მოიწვიეს



სკოლაში მწერლები: **გურამ დოჩანაშვილი**, **დათო ტურაშვილი**, **გია არგანაშვილი**. ინგლისურის პედაგოგ **ნატალია მირგატიასთან** ერთად მომზადდა პრეზენტაციები და სლაიდები **შოთა რუსთაველსა** და **უილიამ შექსპირზე**.

ესთეტიკური აღზრდისა და სპორტის კათედრის ხელმძღვანელმა **ქეთევან ბოგვერაძემ** და ხელოვნების პედაგოგმა **მარიამ ჩაკვეტაძემ** მოაწყვეს ბავშვთა ნამუშევრების საქველმოქმედო გამოფენა-გაყიდვა. შემოსული თანხა ხელმოკლე ოჯახებს გადაეცა. სააღდგომოდ ქალბატონ მანანას ინიციატივით გამოაცხვეს პასკები და პირველკლასელებს გაუმასპინძლდნენ.

დაწყებითი კლასების კათედრაზე (ხელმძღვანელი **ვენერა კაპანაძე**), წარმატებით მოღვაწეობენ პედაგოგები: **თამარ ნათენაძე, თამარ შარიქაძე, დოდო დანელია, ლალი ჭკადუა**. გაზაფხულზე მე-3 კლასელებმა (ხელმძღვანელი **ნინო აბრამაშვილი**) ჩაატარეს ღონისძიება **„საქართველო არის ესე"**.

განათლების სამინისტროს მიერ გამოცხადებულ კონკურსზე მე-7 კლასელები (დამრიგებელი **ქეთევან აბაშიძე**, სცენარის ავტორი და რეჟისორი **დარეჯან კვანჭიანი**) **ნოდარ დუმბაძის** მოტივებზე დადგმული სპექტაკლით **„მარადისობა ჩვენშია"** ქვეყნის მასშტაბით საუკეთესო ათეულში მოხვდნენ.

ინტელექტუალურმა კლუბმა (ხელმძღვანელი **ნანა გვილავა**) ჩაატარა ლიტერატურული ვიქტორინა თემაზე – **„მეცხრამეტე საუკუნე"**, რომელმაც ორგანიზებულად და საინტერესოდ ჩაიარა.

**„ფესვები"** 100 ათასი მოწამის სახელობის ეკლესიის მრევლია, რომლის მოძღვარი მამა **ლუკა სუპატაშვილია** და რომლის **შვიდივე შვილი** ამ სკოლაში სწავლობს. წლების მანძილზე, უკვე ტრადიციად იქცა სწავლის დაწყებისა თუ ბოლო ზარის დღეს, მოსწავლეთა დალოცვა.

დირექტორი და სკოლის კოლექტივი დიდი ხანია მუშაობს პროფესიული პროგრამების შექმნასა და სხვადასხვა ტექნოლოგიური სპეციალობების დანერგვაზე. ფაკულტატიური საგნის სახით ისწავლება **მებაღეობა** (პედაგოგი **მარიამ ჩაკვეტაძე**), სადაც მოსწავლეებს ბუნებასთან, მიწასა და მცენარეებთან ურთიერთობას აცნობენ, ასევე წრის სახით მისდევენ მევენახეობა-მეღვინეობას და ავსტრიელ კოლეგებთან ერთად მუშაობენ პროფესიული სასწავლებლის დაფუძნებაზე.

სკოლამ უმასპინძლა ავსტრიის რესპუბლიკის განათლებისა და ქალთა საკითხების ფედერალური სამინისტროს წარმომადგენლებს – სამინისტროს საერთაშორისო ურთიერთობებისა და კულტურის დეპარტამენტის ხელმძღვანელ, ბატონ **ჰანცპეტერ ჰუბერს** და პროფესიული სასწავლებლების მიმართულების ექსპერტს, ქალბატონ **ასტრიდ ლუკასერს**, რომლებმაც საქართველოს განათლების სამინისტროსთან გააფორმეს ურთიერთგაგების მემორანდუმი. საქართველოს მხრიდან მას ხელი მოაწერა მინისტრის მოადგილემ **ლია გიგაურმა**. სტუმრებმა დაათვალიერეს სკოლის ინფრასტრუქტურა, გაეცვნენ სკოლამდელი აღზრდის დაწესებულების მუშაობის სპეციფიკას, დაესწრნენ სხვადასხვა საგაკვეთილო პროცესს: მაგალითად, გერმანული ენის გაკვეთილს (მე-5 კლ. პედაგოგი **მაია ნოდია**); ინგლისური ენა (მე-6 კლ. პედაგოგი **თამარ თადიაშვილი**); ქართული ენა და ლიტ. ( მე-7 კლ. პედაგოგი **ეკატერინე დონდუა**); რუსული ენა (მე-11 კლ. პედაგოგი **ლერა მანუკოვა**) და მათ მაღალი შეფასება მისცეს. სტუმრები დაესწრნენ აგრეთვე, კონფერენციას თემაზე – **„საქართველო – ღვინის აკვანი"**. პრეზენტაციაზე მუშაობდა სკოლა **„ფესვების"** საინფორმაციო მენეჯერი, **ეკატერინე დონდუა**, ხოლო კონფერენციის ხელმძღვანელი



და კონსულტანტი იყო ტექნიკურ მეცნიერებათა დოქტორი, მებაღეობის, მევენახეობისა და მეღვინეობის სამეცნიერო-კვლევითი ინსტიტუტის სამეცნიერო საბჭოს თავმჯდომარე, მეღვინეობის მიმართულების ხელმძღვანელი **მარინა ხოსიტაშვილი**. პრეზენტაციას ესწრებოდა დეკანოზი **მამა ლუკა სუპატაშვილი**. ვიზიტის ფარგლებში, სტუმრები ეწვივნენ ნაფარეულის ტყუპების ღვინის სახლს, დაათვალიერეს ღვინისა და ქვევრის მუზეუმი.

სამომავლოდ, ქართულ საგანმანათლებლო სივრცეში სკოლა „ფესვები" შემოდის, როგორც **„ქართულ-ავსტრიული სკოლა"**, იგეგმება მოსწავლეთა და მასწავლებელთა ჩართულობა ახალ გაცვლით სასწავლო პროგრამებში. ვუსურვოთ ქალბატონ **მანანა გვირჯიშვილს** შემდგომი წარმატებები ამ მეტად რთულ და საპასუხისმგებლო საქმეში.

**ნათია გურგენიძე**

# ПУТЬ К УСПЕХУ НАЧИНАЕТСЯ С МЭГУ!

Как известно к частным вузам многие относятся с осторожностью, даже с предубеждением. Но по окончанию университета выпускники, довольны полученным образованием, а главное – они востребованы на рынке труда.

Одним из таких является Международный экономико-гуманитарный университет имени академика Степана Демьянчука который начал свою работу еще в 1994 году. Заведение переименовано в Ровенский экономико-гуманитарный институт (Регги), который получил лицензию на осуществление образовательной деятельности в сфере высшей школы. Но университет далеко не сразу смог похвастаться огромной материально-технической базой, но лишь за 24 года своей деятельности он разросся до четырех учебных корпусов, двух полноценных общежитий и современного спортивного корпуса с самым



большим в региональном центре бассейном. При этом любой, у кого есть такая потребность, гарантировано будет обеспечен общежитием с блочной системой проживания.

В 2004 г. Заведение получило нынешнее название - Международный экономико-гуманитарный университет имени академика Степана Демьянчука. В том же году МЭГУ включены в Государственный реестр вузов Украины.

Сейчас в МЭГУ функционирует восемь факультетов: экономический (с 1993 г.), Историко-филологический (с 1997 г.), Здоровья, физической культуры и спорта (с 1998 г.), Кибернетики (с 1999 г.), Юридический, довузовской подготовки и последипломного образования (оба с 2003 г.), массовых коммуникаций и информационных технологий (с 2005 г.), факультет Европейского образования, а также действует Институт педагогического образования, созданный в 2004 г.. в базе педагогического факультета, заочная и дистанционная формы обучения .

Отдельно стоит отметить факультет европейского образования. Именно он больше всего подчеркивает статус университета - международный. Сейчас МЭГУ сотрудничает с ведущими высшими учебными заведениями Венгрии, Польши, Бельгии, Словакии, Беларуси, Германии, Чехии, России, Финляндии, Испании. Студенты постоянно слушают лекции ведущих ученых европейских стран и США. В свою очередь, известные ученые университета проводят занятия в зарубежных высших учебных заведениях.

В нашем заведении функционируют творческие и научные кружки, студенческий театр, команда КВН, танцевальные и эстрадные коллективы. МЭГУ гордится своими спортсменами - победителями и призерами Олимпийских и параолимпийских игр, чемпионатов мира и Европы.

Сегодня учебный процесс в МЭГУ обеспечивают 44 профессора, доктора наук, академики отраслевых и международных академий, 138 кандидатов наук и доцентов.

Преимущество этого вуза в том что он имеет контакты с крупными компаниями и практикующими специалистами в области бизнеса. Каждый студент проходит практику на предприятии. Поэтому их шансы на трудоустройство несколько выше. Также частные вузы активнее занимаются вопросом трудоустройства своих выпускников и очень оперативно реагируют на требования рынка, постоянно разрабатывают новые образовательные программы. Бесспорное преимущество частных вузов заключается и в индивидуальном подходе к студентам.

Согласно образовательно-квалификационных программ студенты факультета европейского образования проходят стажировку в учебных заведениях европейских стран: Венгрии, Польши, Беларуси и т.д.

Наш университет соглашается пойти на встречу студенту, у которого появились финансовые проблемы, например разрешить ему оплатить обучение поэтапно.

Также в Международном экономико-гуманитарному университете имени академика Степана Демьянчука есть Студенческий Парламент который действует с целью: представительства прав и интересов студентов МЭГУ в отношениях с администрацией университета, государственными органами и общественными организациями, с органами студенческого самоуправления других учебных заведений; создание условий для наиболее полного раскрытия



научного и творческого потенциала студентов; содействие повышению эффективности процесса обучения и развития личности; обсуждения и участия в решении вопросов совершенствования учебно-воспитательного процесса; содействие активизации участия студентов в учебном процессе и научно-исследовательской работе; обсуждение и участие в решении вопросов организации научно-исследовательской работы студентов; установление связей и дальнейшего сотрудничества с молодежными организациями и другими вузами страны, и за ее пределами; организации досуга студентов МЭГУ.

Также следует отметить, что в каждом учебном корпусе МЭГУ является свободный wi-fi. А как же может быть иначе, когда главное условие развития личности и постоянного получения знаний - это доступ к информации? Это не только неотъемлемая, но и необходимая часть учебного процесса: некоторые занятия просто невозможны без свободного доступа к сети. Доступ в интернет нужен не только студентам для оперативного поиска информации, но и самым преподавателям - для проведения интерактивных занятий, демонстрации презентаций и т.д.

Следует знать при поступлении в частный вуз, что поступить может практически любой, совершенно не означает, что во время учебы к нему будут предъявляться низкие требования. Частные вузы работают в условиях конкуренции, поэтому качество образования для них – вопрос принципиальный. Существует миф, что частные вузы не отличаются своих студентов. Это не так, частным вузам важно занимать высокие позиции в различных рейтингах учебных заведений, поэтому им нужны только успешные студенты.

Поэтому, если вы хотите - работать в любой цивилизованной стране мира, тогда вам к нам. Ведь именно здесь вам гарантируют: качество образования, качество работы, качество жизни. Свободных людей для новой страны готовят в Международном экономико-гуманитарном университете имени академика Степана Демьянчука.

თბილისის მე-14 საჯარო სკოლა მაღალ შედეგებზეა ორიენტირებული

# სასწავლო წელი წარმატებით დაასრულეს



**საერთაშორისო** სტანდარტების შესაბამისი განათლების ხარისხის უზრუნველყოფა, სასკოლო ინფრასტრუქტურის გაუმჯობესება და სწავლების პროცესში თანამედროვე ტექნოლოგიების დანერგვა – განათლების რეფორმის ის პრიორიტეტებია, რომლის შესრულებასაც ყველა საჯარო სკოლა ცდილობს. სასწავლო წლის ბოლოს ამ მხრივ თბილისის მე-14 საჯარო სკოლა წარმატებული აღმოჩნდა. დირექტორი **მაკა გიორგაძე** მუდმივად შემოქმედებით ძიებაშია. იგი პედაგოგიური და იურიდიული განათლების მიღების შემდეგ, 11 წელი დაწყებითი კლასების პედაგოგი იყო, შემდეგ 148-ე სკოლის დირექტორი, 2011 წლიდან კი ამ სკოლას ხელმძღვანელობს. მისი თაოსნობით გაფორმდა მემორანდუმი საფრანგეთისა და ჩინეთის საელჩოებთან და ეს ენები უფასოდ ისწავლება, სკოლაში დაინერგა ინკლუზიური სწავლება და გაიხსნა რესურს ოთახი. კოლექტივთან კოლეგიალური, მეგობრული ურთიერთობით შეძლო შეექმნა მტკიცედ შეკრული გუნდი. სკოლაში ფუნქციონირებს საგნობრივი წრეები, დიდი დატვირთვით მუშაობენ კათედრები და მათი ხელმძღვანელები.

**დაწყებითი კლასების** კათედრა წარმატებით ახორციელებს მოსწავლეთა ჩართულობას სხვადასხვა სასკოლო და კლასგარეშე ღონისძიებაში, ოლიმპიადებში და გამარჯვებულებიც სამახსოვრო სიგელებით თუ სერთიფიკატებით ჯილდოვდებიან. I-IV კლასებში ჩატარებულ კალიგრაფიის კონკურსში, მე-2 კლასის მოსწავლე **ელენე ხიზანიშვილმა** მე-2 ადგილი აიღო საქართველოს მასშტაბით. სკოლა აქტიურადაა ჩართული G-PRIED-ში, რომელიც ეხმარება და მრავალფეროვანი მასალებით ანებივრებს როგორც მასწავლებლებს, ასევე მოსწავლეებს. მოსწავლე-ახალგაზრდობის სასახლეში გამოფენილ ნამუშევრებს შორის, დიდი მოწონება და ჯილდო ხვდა სწორედ ამ კათედრის მოსწავლეთა ხელით დამზადებულ თოჯინებს.

**მათემატიკის** კათედრის 5 მასწავლებელი ჩართულია **„ჯიპრაიდის“** და **„ათასწლეულის გამოწვევის“** ტრენინგებზე. მოსწავლეები აქტიურად მონაწილეობენ **„ევროპის სასკოლო ოლიმპიადაში“**, **„ევერესტისა“** და **„კინგსის“** მათემატიკურ ოლიმპიადებში და მათი უმრავლესობა დიპლომებისა და სერთიფიკატების მფლობელია.

სკოლაში ერთ-ერთი მოწინავეა **ქართული ენისა და ლიტერატურის** კათედრა, რომლის მიზანი მოსწავლეთათვის მშობლიური ენის მდიდარი სამყაროსა და კულტურული მემკვიდრეობის, გრამატიკული ნორმების შესწავლა და ლექსიკის გამდიდრებაა. ამ კათედრის პედაგოგები – **ლ. ჯანაშია** და **მ. არსენიშვილი** ჩართულები არიან კვალიფიკაციის ასამაღლებელ **„ჯიპრაიდის“** ტრენინგებში, სადაც გამოცდილებას იძენენ. კათედრა გეგმავს ჩამოაყალიბოს კლუბი **„კარცერი-ლუქსი“**, რომელშიც ლიტერატურით დაინტერესებული მოსწავლეები გაერთიანდებიან.

აქტიურად არიან ჩართულები განათლების სამინისტროს მიერ შემოთავაზებულ ტრენინგებსა და კონფერენციებში **საზოგადოებრივი მეცნიერებების** კათედრის პედაგოგები. ისინი მონაწილეობდნენ მეტად მნიშვნელოვან კონფერენციაში **„მასწავლებელი ევროპის გზამკვლევი“**. 2016 წლის ეროვნულ სასწავლო ოლიმპიადაში მონაწილე 28 მოსწავლიდან 9 მეორე ტურში გადავიდა. მოსწავლეთა მოტივაციისა და ცოდნის დონის ასამაღლებლად ხშირად აწყობენ ექსკურსიებს საქართველოს ისტორიულ კუთხეებში, თანამშრომლობენ მუზეუმებთან. მოსწავლეებმა თანამედროვე ტექნოლოგიების გამოყენებით ჩაატარეს კვლევა და წარმოადგინეს შესანიშნავი ნამუშევარი, ისტორიული პროექტი – **„მსოფლიოს უდიდესი ადამიანები“**. ამჟამად კათედრა მუშაობს რამდენიმე პროექტზე – **„ბერძნული კულტურის კვალი ქართულ ისტორიოგრაფიაში“**, **„საქართველოს დამპყრობლები“** და სხვა.



**ესთეტიკის** კათედრის ხელმძღვანელობით 2016-17 სასწავლო წელს მოეწყო შიდა სასკოლო გამოფენები თემებზე – **„ოქროსფერი შემოდგომა“, ახალი წელი, „გაზაფხული“**. მე-2 კლასის მოსწავლეები ბუნებრივი და ხელოვნური მასალის (გირჩი, ტოტი, ფოთოლი, მარცვლეული, ხის ქერქი, ფუჩეჩი, პლასტილინი, მძივი) გამოყენებით, ქმნიან თოჯინებს და საბავშვო ნაწარმოებების მიხედვით წარმოდგენებს მართავენ. მონაწილეობა მიიღეს აგრეთვე, მოსწავლე-ახალგაზრდობის სასახლის კონკურსში **„ხელნაკეთი თოჯინები“**, სადაც I-II-III ადგილები დაიკავეს და კონკურსში **„ჩინეთისა და საქართველოს“**, **„უზბეკეთისა და საქართველოს“** მეგობრობა და თემის ირგვლივ შეასრულეს ნახატები. ხელოვნების სწავლებას გატაცებით უძღვებიან პედაგოგები – **ლეილა გოგაძე** და **ნანა თევზაძე**.

მეტად აქტიურია სკოლის მუსიკის კათედრა, სადაც პედაგოგები – **გულნაზ ჯიმშერაშვილი** და **ნინო აბუაშვილი** სისტემატურად ატარებენ დაგეგმილ, ღია და თემატურ გაკვეთილებს. მაგალითად, თემა **„ბალეტი“**, სადაც მოსწავლეები ჩაიკოვსკის **„მაკნატუნას“** ფრაგმენტებს გაეცვნენ, თავადაც ხალისით შეასრულეს საცეკვაო ილეთები, იმუშავეს ჯგუფებში და ნახატებით გადმოსცეს მიღებული შთაბეჭდილებები. ასევე სახალისო იყო IVა კლასელების მიერ შესრულებული სიმღერები **გიორგი ცაბაძის** მიუზიკლიდან **„ვერის უბნის მელოდიები“,** თემა იყო „მიუზიკლი“. VIIბ კლასის მოსწავლეები აუდიტორიის წინაშე წარსდგნენ ნაწყვეტებით **ჯუზეპე ვერდის** ოპერიდან **„აიდა“**.

2016-17 სასწავლო წელი საკმაოდ დატვირთული იყო უცხოური ენების კათედრისთვის. ჩატარდა შიდა სასკოლო ღონისძიებები და პრეზენტაციები, გამოვლინდა გამარჯვებულები. **ფრანგული ენის** ეროვნული სასწავლო ოლიმპიადის მე-2 ტურში გადავიდნენ **სალომე ბაღაღოშვილი** და **ლიკა ხიზანიშვილი**, ხოლო ეს უკანასკნელი ფინალური ტურის მონაწილეც გახდა. (პედაგოგი – **ნ. წოწკოლაური**). ასევე მე-2 ტურში გადავიდნენ ინგლისური ენის Robinson Smart და Competition King ოლიმპიადების მონაწილე მოსწავლეები. სასკოლო ოლიმპიადის მე-2 ტურში გადავიდნენ პედაგოგ ბერაძის მე-10-11 კლასელები: **მატარაძე, უგრეხელიძე, თევზაძე, ხიზანიშვილი, ცუცქირიძე; ვიკი კუხიანიძე** (მე-12 კლ. პედაგოგი – **დემეტრაშვილი**); მე-3 ტურში გადავიდა **ლუკა ცუხიშვილი** (მე-6 კლ.); რუსული ენის მე-2 ტურის მონაწილეები არიან: **შუშაბერიძე, ჩივაძე, კარაპეტიანი, სისაური** (პედაგოგი **ხუციშვილი**). მოსწავლეები აქტიურად არიან ჩართულები შეხვედრებში რეჟისორებთან, ფილმების ყურება-განხილვაში, აწყობენ ვიზიტებს, მაგალითად



ფრანგულ მედიათეკაში **„აღმოაჩინე მედიათეკა“**.



**ბუნებისმეტყველების** კათედრაზე გაერთიანებულია ხუთი პედაგოგი, ისინი აქტიურად არიან ჩართულნი **„ათასწლეულის გამოწვევის“** ფონდის მიერ შექმნილ **„მილენიუმის პროექტში“** და ტრენინგებზე მიღებულ ცოდნასა და ინოვაციურ მეთოდებს აქტიურად იყენებენ საგაკვეთილო პროცეში. კათედრაზე გაერთიანებულ საგნებში ჩატარდა სასკოლო ოლიმპიადა, რომლის მონაწილეთა უმრავლესობა გადავიდა მეორე ტურში.

მეტად ხალისიანია მე-14 საჯარო სკოლის მოსწავლეთა სპორტული ცხოვრება, რომელსაც პედაგოგები – **გაიოზ ყაჭეიშვილი** და **გიორგი ქვრივიშვილი** უძღვებიან. კვირაში 2-ჯერ კლასებს შორის შიდასასკოლო ჩემპიონატები ტარდება **მინიფეხბურთში, კალათბურთში, მაგიდის ჩოგბურთში, ფრენბურთში**. მარტში სპორტის სასახლეში ჩატარებულ მოსწავლეთა ოლიმპიადაში კალათბურთი 3x3 სკოლის გუნდი ნახევარფინალში გავიდა. მონაწილეობდნენ მინიფეხბურთის ოლიმპიადაში **მუშტაედის** ბაღში, სპორტულ დღეებში – **„მაგიდის ჩოგბურთი“**, **ლისის ტბაზე** და გადავიდნენ მე-2 წრეში.

კოლექტივში ბევრი წარმატებული პედაგოგია და მათი არხსენება, შეუძლებელია. ესენი არიან უფროსი მასწავლებლები: **ნუნუ ალუღიშვილი** (გეოგრაფია), **მზია არსენიშვილი** (ქართული ენა და ლიტ.), **ლიანა ასათიანი** (ფიზიკა), **მაია აფხაზავა** (ქიმია), **ია გიგუაშვილი** (ქიმია), **ლელა გლოველი** (ქართული ენა და ლიტ.), **ლამზირა დემეტრაშვილი** (ინგლისური ენა), **ნინო დემურიშვილი** (მათემატიკა), **ხათუნა ებანოიძე** (ქართული ენა და ლიტ.), **ლელა ზაქარეიშვილი** (ისტორია), **ქრისტინე კამლაძე** (დაწყებითი კლასები), **დარეჯან კობალაძე** (დაწყებითი კლასები), **ნატალია მაისურაძე** (ისტორია), **ინდირა მანველიშვილი** (დაწყებითი კლასები), **ნათია მირუაშვილი** (დაწყებითი კლასები), **ნაიდა მჭედლიძე** (რუსული ენა), **ლია ნოზაძე** (მათემატიკა), **შორენა სამაკაშვილი** (ისტორია), **ლალი სიაშვილი** (მათემატიკა), **ნანა სიხარულიძე** (რუსული ენა), **მანანა უსენაშვილი** (ბიოლოგია), **იათამზე ქოსაშვილი** (დაწყებითი კლასები), **ნათელა ჩადუნელი** (ინგლისური ენა), **თამარ წიქორიძე** (მათემატიკა), **ნინო წოწკოლაური** (ფრანგული ენა), **როზა ჭეჟია** (დაწყებითი კლასები), **ლია ხუციშვილი** (რუსული ენა), **ლელა ჯანაშია** (ქართული ენა და ლიტ.).

მაღალი პასუხისმგებლობით წარმართავენ სასწავლო პროცესს პრაქტიკოსი პედაგოგები: **ნინო აბუაშვილი** (მუსიკა), **დალილა ანთიძე** (დაწყებითი კლასები), **თამარ ახვლედიანი** (დაწყებითი კლასები), **ნათელა ბერაძე** (ინგლისური ენა), **ლეილა გოქაძე** (ხელოვნება), **ზაზა თაღიაშვილი** (საგზაო მოძრ.), **ნანა თევზაძე** (ხელოვნება), **დარეჯან კვიტაშვილი** (დაწყებითი კლასები), **ნინელი კობახიძე** (დაწყებითი კლასები), **ნათია ლომსაძე** (ცეკვა), **ირინა მაისურაძე** (ინგლისური ენა), **ნათია მეტრეველი** (ბიოლოგია), **ირმა მეხატიშვილი** (ქართული ენა და ლიტ.), **ნინო ნადიბაიძე** (ისტორია), **თეა ნიკოლეიშვილი** (გეოგრაფია), **მედეა პატარაია** (ქართული ენა და ლიტ.), **ვალია ჟივიძე** (მათემატიკა), **ნონა სიხუაშვილი** (დაწყებითი კლასები), **დინარა სულხანიშვილი** (ფრანგული ენა), **მანანა ჩოხელი** (დაწყებითი კლასები), **გიორგი ქვრივიშვილი** (სპორტი), **გაიოზ ყაჭეიშვილი** (სპორტი), **გულნაზ ჯიმშერაშვილი** (მუსიკა).

სკოლა მართლაც საინტერესო ცხოვრებით ცხოვრობს, მაღალია სასწავლო-შემოქმედებითი ჩართულობა, აქტივობები და შედეგებიც სასიხარულოა. წელს სკოლას 4 მედალოსანი ჰყავს, 3 ოქრო და 1 ვერცხლი.

სკოლის დირექტორ **მაკა გიორგაძეს** ამ საქმეში ღირსეულად უდგანან მხარში გამოცდილი დირექტორის მოადგილე **მაია ლომიძე**, მთელი პედაგოგიური კოლექტივი, სამეურვეო საბჭოს თავმჯდომარე მშობელი **მანანა ყურაშვილი** და ბუღალტერი **ლელა ცხოვრებაძე**. არ შემიძლია განსაკუთრებულად არ გამოვყო თავისი საქმის ჩინებული სპეციალისტი და ძალიან გულისხმიერი ადამიანი, საქმისმწარმოებელი **ზინაიდა (ზიზი) გორგაძე**, რომელიც სკოლის სიამედო საყრდენია.

სასწავლო წლის მაღალი შედეგებით დასრულებას გილოცავთ, მეთოთხმეტე სკოლელებო!

**ნათია გურგენიძე**

### ახალ გაზეთს დაფუძნებას ვულოცავთ!

# დებიუტი შთამბეჭდავია

– **რა ამბავია** ამდენი გაზეთიო! – გვესმის ხშირად. **„აისიდან დაისამდე“** იმ რანგის გაზეთებს არ მიეკუთვნება, რომლებზეც ასეთი აზრია.

აი, ამონარიდი „რედაქტორის სვეტიდან“: „გაზეთის ხელმძღვანელობას ადრე ჰქონდა გაზეთი **„ლიტერატურული კათარზისი“**, მის ბაზაზე ხანდაზმულთათვის

დამოუკიდებელი, თავისუფალი საზოგადოებრივი გაზეთი

**ასიდან დასამდე**

იშვა ახალი, უფრო მასშტაბიანი **„აისიდან დაისამდე“.** მისი ნათლია გახლავთ 96 წლის კაცი ლეგენდა **შალვა სიჭინავა**“.

მართლაც პირველი ნომერი შთამბეჭდავია. მისი რედაქტორია გამობრძმედილი პედაგოგი, მწერალი, ჟურნალისტი, პოეტური და სამეცნიერო წიგნების ავტორი **ტარიელ მუმლაძე**. ო, რა დიდებული ხალხი შემოუკრებია ტარიელს სათანამშრომლოდ: **გურამ კუპატაძე, მარეხ მურღულია, მირანდა ჩოგოვაძე, ირინე ასათიანი**. რედკოლეგიის წევრები: **ავთო ჯინჭველაშვილი, იამზე ჭელიძე, ნუნუ ჭეიშვილი, იზო მელუა, შალვა სიჭინავა, ნანა მაღალაშვილი, სულიკო ხეტეშვილი, ომარ ნანავა, ზაურ ბოლქვაძე, მიშა ბუცურაშვილი, დავით კუპატაძე**.

მრავალფეროვანია თემატიკა: ინფორმაცია, იუმორი, ფელეტონი, ლექსები, მინიატურები, კრიტიკა, ჯანმრთელობა ყველას უნდა, განათლება, ახალი წიგნები, ჩვენი წარსულის ისტორია, ხელოვნება, კულტურა...

ყველა თემაზე ლაკონური მასალებია მოთავსებული. ამ თემების გაშლას ამჯერად ჩვენ ვერ ვახერხებთ. ფაქტი ერთია: საჭირო გაზეთი სახეზეა. პოპულარობა მალე მოვა. **დაე, მუდამ მწვანე შუქი ენთოს თქვენს სავალ გზაზე. გილოცავთ!**

**გაზეთ „სახალხო განათლება+“-ის რედაქცია**

### „არდავიწყება მოყვრისა“...

# თინა სინაურიძე-ჩეჩელაშვილის მონატრება

**ვარდობისთვეს**შენი სილამაზე დააკლდა...

1 მაისს შეწყდა შენი მჩქეფარე სიცოცხლე. არადა, როგორ გინდოდა დიდხანს დამტკბარიყავი შენი ძვირფასი შვილების და შვილიშვილების ხილვით, მათი მომავლით, შენს გარშემომყოფთა, შენს საიმედო მეგობართა შორის, რომლებთან ყოფნაც შენთვის უდიდესი სიამოვნება იყო.

შენ ხომ არასდროს გბეზრდებოდა **მასპინძლის** როლში ყოფნა, ყოველთვის **შენთან სახლში ვიკრიბებოდით**, რადგან ასე გსურდა და მოგწონდა. ამიტომაც მეტად ნაღვლიანი იყო შენი ბოლო დაბადების დღე, **85 წლის იუბილე** შენმა შვილებმა ოჯახს გარეთ გადაგიხადეს და ყველაფერი შენი და შენი მეგობრების სასიამოვნოდ გააკეთეს. შენ კი, ყველაფერი შენებურად გინდოდა და ეს იყო მიზეზი, რომ ცოტა მოწყენილობა გეტყობოდა. შენს სათაყვანებელ შვილს – **ვალერისაც** აწუხებდა რაღაც, მაგრამ არ იმჩნევდა და თამადობდა კიდეც... მაშინ არც შენ იცოდი და არც ჩვენ – შენმა მეგობრებმა, რომ თურმე მომაკვდინებელი სენი გყავდა ჩასაფრებული. ყველანი ვლოცულობდით შენთვის, ვევედრებოდით უფალს, რომ გადაერჩინე,



მაგრამ... ძალიან მძიმე გამოდგა ჩვენთვის 1 მაისთან შეხვედრა. უშენოდ გათენდა ეს ლამაზი დღე მწუხარებით, ტკივილით და ცრემლით...

**40 დღის შემდეგაც ცრემლიანი თვალებით გინთებთ სანთლებს და უფალს ვთხოვთ ზეციურ საქართველოში შენს დავანებას.**

**გვიყვარხარ და გვენატრები!**

**შენი ლამაზი სულისთვის მლოცველი მეგობრები და კოლეგები**

### ნუ დაჩმორდებით!

# ხბოს აღტაცება

**ხშირად** გაიგონებთ: თავმოყვარეობა არა აქვსო. თავმოყვარეობის დეფიციტი კი მლიქვნელობაში გადაიზრდება. მლიქვნელობა კი ღირსების შემლახველია.




ბოჩოლა რძით რომ გაიჭყიპება, მინდორში კუნტრუშს დაიწყებს, უაზროდ გაგიჟდება, ხან აქეთ მიაწყდება და ხან იქით მიეხეთქება, ტლინკაობს.

ამას ეძახიან **„ხბოს აღტაცებას!“**

არ ვიცი ეს თვისება ჩვენს ხასიათშია თუ არა, მაგრამ ცხადია, ამის მსგავსი, სამწუხაროდ, ხშირად გვემართება: მუდამ სხვას ვაკრიტიკებთ და საკუთარ ქცევას არ ვუკვირდებით.

**„ხბოს აღტაცების“** ორი მაგალითი გავიხსენოთ, ძვირფასო მკითხველო – ერთი – იმ საუკუნიდან, მეორე – ამ საუკუნიდან.

მაშინ რუსი მწერალი **ასტაფიევი** გვესტუმრა. გადაყვნენ მას ჩვენი მწერლები, აქეს, ადიდეს, „დევების აუღებელი სუფრა“ გაუშალეს, ჩიტის რძე არ მოაკლეს, სამოთხის ნირვანაში აბანავეს და იქ თევზი-ციმორი დააჭერინეს. ჰოდა, რომ დაბრუნდა **ასტაფიევი** მოსკოვში, პასკვილი **„ციმორის ჭერა“** გამოაცხო: ქართველები უსაქმურები ხართო, ღვინის ყლაპვის მეტი არაფერი იცითო, ორსული ქალივით უშველებელი ღიპი გადგათო.

ამ საუკუნეში კი თურქმა მწერალმა **ორჰან ფამუქიმ** ნობელის პრემია მიიღო. სტუმართმოყვარეობის მოტივით (უფრო, ღრმად თუ ჩავწვდებით განაზრახს, სხვა მოტივითაც) გადაირივნენ ახალგაზრდა ქართველი მწერლები, ჩამოიყვანეს, **„პრეზენტაცია“** მოუწყვეს, **„სუფრადანციაც“** ზედ მიაყოლეს.

ერთმა მწერალმა ჰკითხა **„უძვირფასეს„** სტუმარს, რუსთაველის **„ვეფხისტყაოსანზე“** რას გვეტყვითო? – არც კი მაქვს წაკითხულიო (!?)

ახლახან ევროვიზალიბერალიზაციაზეც ხომ არ მოგექძალათ ბევრს **„ხბოს აღტაცება?“**

**თავმოყვარეობა – ღირსებისა და არა მონური ქედმოხრის გრძნობა კარგი საქონელია, ღმერთმანი!**

**მოსე მწერალი**

ხსოვნა

# ცისანა კეთილაძის მოსაგონარი



**თბილისის** მიწამ მიიბარა აფხაზეთიდან დევნილი ღვაწლმოსილი პედაგოგი **ცისანა (დოდო) ნიკოლოზის ასული კეთილაძე.**

დაიბადა 1950 წლის 26 ივლისს **სოხუმის რაიონის სოფელ ახალშენში.** სოფელ შრომის საშუალო სკოლისა და **სოხუმის პედინსტიტუტის ფილოლოგიის ფაკულტეტის** დამთავრების შემდეგ ეწეოდა პედაგოგიურ მოღვაწეობას, **ქართულ ენასა და ლიტერატურას მაღალპროფესიულ დონეზე ასწავლიდა ჯერ მშობლიური ახალშენის სკოლაში, შემდეგ კი – ოჩამჩირის რაიონის ახალი კინდღის საშუალო სკოლაში, აფხაზეთიდან გამოდევნის შემდეგ – თბილისში „მაჰმადიან მესხთა სპეცსკოლაში“, 167-ე საჯარო სკოლასთან არსებულ დევნილთა სკოლაში** (დირექტორი **ვალტერ სიჭინავა**).

**ცისანა კეთილაძე დიდი პედაგოგიური ოჯახის ღირსეული, თვალსაჩინო წარმომადგენელი** იყო: მამა – **ნიკოლოზ კეთილაძე** ახალშენის სკოლის დირექტორი გახლდათ, დედა – **ლუბა კიკვაძე** – ქართული ენა-ლიტერატურის ბრწყინვალე პედაგოგი, ძმა – **შოთა კეთილაძე** ახალშენის სკოლის დირექტორი, მამამთილი – **ბორის გადელია** – მათემატიკას ასწავლიდა **ახალი კინდღისა** და **ახალშენის** სკოლებში, დედამთილი – **საშა რუხაძე ახალი კინდღის სკოლაში დაწყებითი კლასების** დამსახურებული მასწავლებელი იყო, ხოლო მეუღლე – **ბორის (უმცროსი) გადელია „მესხების“** სკოლაში მოღვაწეობდა.

**ცისანა კეთილაძე** ზედმიწევნით ამართლებდა თავის გვარს: **იყო საოცრად კეთილი, ჰუმანური, ჩინებული მეოჯახე და დედა, კეთილი ბებია და, რაც მთავარია, მაღალპროფესიონალი პედაგოგი.** მისი აღზრდილები სახელოვანი მეცნიერებიდა სამეურნეო დარგის მაღალი თანამდებობის პირები არიან.

თითქოს ბუნების რისხვა იყო: ამ დღეებში ერთმანეთის მიყოლებით ამ სამზეოს დაშორდნენ **ცისანას ძმა მიხეილ კეთილაძე**, ახალკინდღელები: **ნანული შონია, თამარ ქობალია, თალიკო ფარცვანია, ავთანდილ ძაგანია.**

**ცისანა კეთილაძე** სამშობლოს წინაშე პირნათლად ვალმოხდილი შეუერთდა მარადისობას. **არდავიწყება მის სახელს! ნათელში ამყოფოს უფალმა!**

ოჯახის სახელით: მეუღლე **ბორის გადელია**, შვილები: **გიორგი** და **ხატია გადელიები**, შვილიშვილები: **გაბრიელ** და **გეგა გადელიები, თენგიზ ძებისაშვილი**, მულები: **სვეტა** და **ზაირა გადელიები**, კოლეგები და მეგობრები.

**გაზეთ „სახალხო განათლება+“-ის რედაქცია.**

მთ. რედაქტორი ბორის მიშველაძე

ნომრის რედაქტორი ნათია გურგენიძე

სახალხო განათლება+ № 12 (4551)
7 ივნისი, 2017 წელი
გაზეთი გამოდის 1928 წლიდან

რედკოლეგია

ზურაბ ქობალია (თავმჯდომარე) 599 34-37-27; ნათელა ქიმერიძე 595 58-45-72; ბორის მიშველაძე 555 59-60-50; რომან მოსეშვილი 599 34 41 41; ნათია გურგენიძე 593 42-22-58; ეკა მამუკაშვილი 557 20-85-04

ელ-ფოსტა: saxgani@gmail.com
ტელ: (0 32) 2 99 80 00
(032) 2 98 48 07; (032) 2 99 63 52

ISSN 1987-9113

9 771987 911009